სპორტი

სპორტული გაზეთი შაბათი 28 ივნისი 2008 №147 (3371) ფასი 50 თეთრი

მადლობა ფეხბურთს!



ტიტული

ტიტული



აი, მიილია სამი კვირა ევროპის ჩემპიონატის დაწყებიდან. ერთი თამაშიც და, ისევ ოთხწლიანი ლოდინი დაიწყება — მომდევნო ევრომდე.

თუმცა, ეს რომ ასე იქნებოდა და კიდევ უამრავჯერ იქნება, ხომ ვიცოდით.

გერმანიამ სამჯერ მოიგო ევროპის თასი. მასზე მეტჯერ არც ვინმეს მოუგია ფინალი და არც ფინალში გასულა ვინმე. ესპანეთი კი ერთხელ იყო ევროპის ჩემპიონი.

ესეც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია.

ხოლო ის, რაც ამ წუთისთვის არავინ იცის, გერმანია — ესპანეთის ფინალის ანგარიშია.

ალბათ, აქ უადგილოა კამათი, რომ ჩემპიონის ვინაობა რომელიღაც კაბინეტში თუ შამანის ფარდულში დიდი ხნის წინ გადაწყდა. ამაზე ფიქრი მთავარს დაგვაკარგვინებს — ფეხბურთით სიამოვნება გაგვიჭირდება. არადა, ხვალ ისეთი ფეხბურთია, ის ორი საათი და ეგებ ცოტა მეტიც მართლა რომ დაგავიწყებს ბევრ პრობლემას.

პრობლემები კი... აქ მხოლოდ საფეხბურთო ვთქვათ. ითქვა, ზიკომაც მიიღო შეთავაზება საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზეო. ზიკოს იაპონიის ნაკრებიც კარგი ჰყავდა და „ფენერბაჰჩესაც“ კარგი ფეხბურთი ათამაშა. და ავრაამ გრანტი? ფოლკერ ფინკე? კიდევ რამდენის სახელი ითქმება?

ხვალ ორი საათი ადამიანურად ვიარსებებთ: ვიღელვებთ თამაშ-თამაშ მერე ზიკოც ჩამოვა?

ინტერტოტოს თასი

თბილისი. 28 ივნისი. 19 საათი. მიხეილ მესხი

ლოკომოტივი — ეტცელა

მსაჯები: პ. რადოვანოვიჩი, დ. სჯოვიჩი, ვ. რადუნოვიჩი (სამივე ჩერნიგორია), ლ. სილაგავა (საქართველო);
დამკვირვებელი: გ. ბენკო (ავსტრია); დელეგატი: ი. სტრაუსი (ისრაელი)

ლოკომოტივი ვალდებულია!

ბადრი ჯბილავის ფოტო

თბილისელებს მომდევნო ეტაპზე გასვლის იმედი აქვთ



„ეტცელა"

ბადრი ჯბილავის ფოტო

თბილისის „ლოკომოტივი" ვალდებულია, ინტერტოტოს თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გაიაროს. აქ, უკვე არ გაგვიმართლა, ჩვენი დღე არ იყო და ამგვარები არ გამოვა, რაკიღა მეტოქე ლუქსემბურგული „ეტცელაა": გუნდი, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და სხვათა შორის, ჩემპიონ „ჟენესთან" 0:7 წააგო.

გიორგი კიკნაძის გუნდმა „მიხეილ მესხზე" ვარჯიში ექვსის ნახევარზე დაიწყო, კვადრატები და ნახევარ მინდორზე ორკარა — ამით მორჩა ყველაფერი და არც იყო საჭირო ზედმეტი დატვირთვა, ოდნავი ნიავიც კი არ უბერავდა, ხვატი იყო ირგვლივ.

„ლოკომოტივი" იგივე შემადგენლობით ემზადება, რომელიც „ეტცელასთან" გასვლით 0:0-ზე ჰყავდა. ვარჯიშებზე, რა გასაკვირია, რატი ალექსიძე და ვიტალი დარასელია გვხვდებოდნენ თვალში — მათ სხვებზე მეტი გამოცდილებაც აქვთ ევროტურნირებზე თამაშისა.

გიორგი კიკნაძე: „ეტცელა" მთლად ხელწამოსაკრავი გუნდი არაა. თანამედროვე ფეხბურთში აგდებულად არავის არ უნდა მოვეკიდოთ. მჯერა, რომ სასურველ შედეგს მივაღწევთ, მაგრამ იოლ თამაშს არ ველი, ყურადღება გვმართებს.

...ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ უფრო ძლიერი ფეხბურთელები გვყავს, შემსრულებლები. ამასთან, შინ ვთამაშობთ და ესეც თავისთავად უპირატესობაა...

...ლევან ცქიტიშვილი ხვალ ნამდვილად არ ითამაშებს, რადგან გუნდში არ ვარჯიშობს, თუმცა არ არის გამორიცხული, „ეტცელას" გამოთიშვის შემთხვევაში, რუსულ „სატურნთან" მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაგვემატოს".

ფეხბურთელები კარგ ხასიათზე იყვნენ, ალექსიძემ თქვა, ორი აზრი არ არის, ჩვენ მოვიგებთო.

„ლოკომოტივის" ვარჯიშის დასრულებიდან 15 წუთში მინდორზე „ეტცელა" გავიდა, სტადიონი შეათვალიერეს, მწვრთნელი ლუკ ჰოლცი ხუთიოდ წუთს ელაპარაკა ფეხბურთელებს და მერე, რომ გითხრათ, დედა, ეს რა ვარჯიში ვნახეთო, დაიჯერებთ?

მოკლედ, „ლოკომოტივი" ვალდებულია, ეს ეტაპი გადალახოს...

ასე რომ...

ილია ნანობაშვილი



ანრეულ ფალავანდიშვილის ფოტო

ვიტელთა თავკაცი ნესტორ მუმლაძე

ვიტ ჯორჯია ყირიმისკენ გაემგზავრა

გუშინ „ვიტ ჯორჯია" ყირიმში გაემგზავრა შეკრებაზე, სადაც „კრიმტეპლიცას" საფეხბურთო ბაზაზე დაბინავდება და ახალი სეზონისთვის მზადების მეორე ეტაპს იქ გაივლის.

„ვიტ ჯორჯიას" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 3, 6, 8 და 10 ივლისს ვიტელები ამხანაგურ მატჩებს გამართავს, სავარაუდო მეტოქეების ვინაობას კი მოგვიანებით შევიტყობთ.

„ვიტ ჯორჯია" ყირიმში 24 ფეხბურთელით გაემგზავრა:

მეკარეები: *გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე, შოთა ლურბელეიშვილი;*

მცველები: *დავით ლომაია, ლაშა ჯაფარიძე, ლაშა კასრაძე, გურამ ადამაძე, ამირან ყველაშვილი, ალექსი კაიშაური, დავით ხურცილავა;*

ნახევარმცველები: *გიორგი დათუნაიშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ლუკა რაზმაძე, გიგა ბეჭვაია, გიორგი კვალინაძე, გიორგი მელქაძე, დავით მაისაშვილი, გიორგი ჯანელიძე, გიორგი ვასაძე, რევაზ ღანიაშვილი;*

თავდამსხმელები: *ვასილ ლუჭაშვილი, ჯაბა ლიპარტია, გიორგი ბერიაშვილი, მიხეილ როსტიაშვილი.*

შეგახსენებთ, რომ უკრაინაში გამგზავრებამდე „ვიტ ჯორჯიამ" თბილისში ორი ამხანაგური მატჩი გამართა: ირაკლი კლიმიაშვილის გოლით 1:0 მოუგო „ოლიმპიკს", ხოლო მიხეილ როსტიაშვილის გოლით ასევე 1:0 სძლია „ნორჩ დინამოელს".

ძახა შალამბერიძე

სიონში სიახლე სიახლეზეა

ოლიმპმა აფრიკელები გაუშვა და აფრიკელებს ელის

რუსთავის „ოლიმპმა" ტესტმატჩი გამართა ბოლნისის „სიონთან" და გია მეგრელაძის დუბლით 2:0 იმარჯვა. შეხვედრა „ნორჩი დინამოელის" მინდორზე გაიმართა, სადაც ეს გუნდები ხვალ 11 საათზეც შეერკინებიან ერთმანეთს.

გუშინ კი „ოლიმპს" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ჰყავდა: ბოლოს „ბათუმში" მოთამაშე გაგა ჩხეტიანი და კიდევ ორი აფრიკელი, რომლებიც უკანვე გაუშვეს, რადგან შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს.

„კიდევ ველოდებით ფეხბურთელებს აფრიკიდან, ოღონდ მათ გვარებს ჯერ ვერ გეტყვით. არც ვიცი" — გვითხრა „ოლიმპის" თავკაცმა ხვიჩა ქასრაშვილმა.

ახლებია „სიონშიც" — შემადგენლობას რომ ჩაიკითხავ, ბევრი გადანაცვლებები მოგხვდებათ თვალში. მეკარე ზურაბ მამალაძე, რომელიც ბოლოს აზერბაიჯანულ „გაბალაში" იყო; გელა ხუბუა „ოლიმპიდან", ზაზა ჭელიძე „ბათუმიდან" დაუბრუნდა ბოლნისელებს; ზაურ ხაჭიპერაძე ჭიათურის „მაღაროელიდან", ალეკო კოშკაძე ახალციხის „მესხეთიდან", გიორგი ალავერდაშვილი თბილისის „ლოკომოტივიდან" და მურთაზ დაუშვილი „ზესტაფონიდან" მივიდნენ.

დიახ, დაუშვილმა, ედიკ საჯაიასა და გიორგი ხიდეშელის მსგავსად, ფეროელებთან კონტრაქტი არ გააგრძელა, რის გამოც გუნდს შეკრებაზე აღარ გაჰყვა. ჰოდა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ახლა „სიონშია". ოღონდ ჯერ ადრეა ლაპარაკი, დარჩება ამ გუნდში თუ არა.

ოლიმპი: *შეყრილაძე, თ. ლონდაძე, მაჭავარიანი, რეხვიაშვილი, ფეიქრიშვილი, ბაბუნაშვილი, გეწაძე, მიკუჩაძე, მეგრელაძე, ორი აფრიკელი ლეგიონერი.*

შეცვლაზე შევიდნენ: *გიგაური, სებისკვერაძე, ჭიჭვეიშვილი, გაბიდაური, გაგა ჩხეტიანი, ჯოჯუა, გაბედავა.*

სიონი: *მამალაძე, ქურასბედიანი, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, ხუბუა, ზ. ჭელიძე, სანიკიძე, ლ. ბაჯელიძე, კვიტაიშვილი, კოშკაძე, ხაჭიპერაძე.*

შეცვლაზე შევიდნენ: *ბობლიაშვილი, ბ. ნოზაძე, შ. ჯიქია, ალავერდაშვილი, დაუშვილი, ნაყოფია.*

ილია ნანობაშვილი

ამხანაგური მატჩები

ლეგია 0:0 ამკარი
მატერსბურგი 2:1 ლოკომოტივი (მ)
რაპიდი 3:1 პუგლიკუმი
ალტახი 1:3 დინამო (კ)
გრასჰოპერი 0:1 შახტარი

ნორვეგია

ტიპელიგა. XI ტური

ბოდიო გლიმტი 1:1 რუსენბორგი

ირლანდია

პრემიერლიგა. XVI ტური

დერი 0:3 სენტ პატრიკსი
გალვეი 0:1 დროჰედა
დუბლინი 0:2 კორკი
ფინ ჰარპსი 1:0 ბრეი
ბოჰემიანსი — შემროკი გადაიდო



რას ეტყვის ზიკო საქართველოს?

არტურ ანტუნეშ კოიმბრა — ამ სახელმა შეიძლება, უცებ არაფერი გითხრათ, მაგრამ თუ ბოლომდე ვიტყვით...

ზიკო — აი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთი კანდიდატი, ვისთანაც ფეხბურთის ფედერაციამ მოლაპარაკება უკვე დაიწყო და სულ ცოტა ხანში ლეგენდა ბრაზილიელისგან პასუხი უნდა მიიღოს!

ფედერაციასა და ზიკოს შორის ურთიერთობას ერთი უცხოელი აგენტი აგვარებს და, როგორც სწორედ მისგან შევიტყვეთ, წარსულში უდიადესი ფეხბურთელი და ბოლო ხანს სამწვრთნელო საქმეშიც თავგამოჩენილი 55 წლის ეს კაცი ქართველების წინადადებით შეთავაზებისთანავე დაინტერესებულა.

მართალია, ზიკოს ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთ კანდიდატ ავრაამ გრანტთან შედარებით არცთუ მდიდარი სამწვრთნელო კარიერა აქვს, მაგრამ სადაც კი უმუშავია, ყველგან წარმატებულად. საქმე მან 1999 წელს იაპონიაში დაიწყო და ის „კაშიმა“ ჩაიბარა, სადაც 1994-ში ფეხბურთის თამაშს შეეშვა. „კაშიმას“ შემდეგ იაპონელებმა ზიკოს უკვე ერთვნული გუნდიც ანდეს, რომელსაც 2002-2006 წლებში თავკაცობდა. იაპონიის ნაკრებთან ერთად ზიკომ 2004 წელს აზიის ჩემპიონატი მოიგო, უფრო ადრე კი, გეხსომებათ, კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც გუნდი საკმაოდ შთამბეჭდავად ათამაშა.

ამომავალი მზის ქვეყანას ბრაზილიელი 2 წლის წინ დაშორდა და ჩვენს სამეზობლო თურქეთს მიაშურა — სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ გაუფორმა კონტრაქტი და შარშან თურქეთის ჩემპიონატიც მოაგებინა. ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშებაც გეხსომებათ, ტურნირის მოულოდნელობა სწორედ ზიკოს „ფენერბაჰჩეს“ ძალიან მაგარი თამაში იყო. თურქები გათამაშებას „ჩელსიმ“ მეოთხედფინალში გაჭირვებით ჩამოაშორა.

და ახლა ზიკო თავისუფალია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინადადებას განიხილავს. ვნახოთ...

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის საკითხი, ერთხელაც ვთქვათ, უახლოეს მომავალში, სადღაც ორ კვირაში უნდა მოგვარდეს.

კოგა ინასარიძე

გიორგი ჭელიძეს ბაქო დაამშვიდა



ბაქოს „ნეფთჩის“ თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივმა“ აზერბაიჯანულ კლუბში გაანათხოვრა, კმაყოფილია და საკუთარი ბომბარდირული თვისებების გამოყენების ეიმედება.

— „ნეფთჩიში“ ჩემი თანაგუნდელია დმიტრი კრუგლოვი, რომელთან ერთადაც „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი. გარდა ამისა, აქ არის გიორგი ადამია, რომელსაც კარგად ვიცნობ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ერთად არ გვითამაშია. „ნეფთჩიში“ კარგად მიმიღეს და შევეცდები გამორჩეული ვიყო. მოედანზე თავდამსხმელის მიზანი გოლების გატანაა. „ნიტრასთან“ ინტერტოტოს თასის საპასუხო შეხვედრაში მომენტების შექმნას და მათ გამოყენებას ვეცდები“ — განუცხადა ჭელიძემ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს.

კახა შალამბერიძე

გვაზავა შინ დაბრუნდა

ქართველმა ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ, რომელიც ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიასთან“ ერთად შეკრებაზე მოსკოვშია, ამხანაგური მატჩი ცსკა-სთან ჩაატარა.

მატჩი 4:4 დასრულდა, გვაზავამ კი პირველი ტაიმი ითამაშა.

აღსანიშნავია, რომ „ლუჩ-ენერგია“ 4:1 იგებდა, მაგრამ არმიელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

ვლადივოსტოკელები უკვე შინ დაბრუნდნენ და პრემიერლიგისთვის მზადებას იქ გააგრძელებენ.

კახა შალამბერიძე

ნალჩიკელი ქართველობა

ალექსანდრე ამისულაშვილმა და დავით სირაძემ, რომლებიც ნალჩიკის „სპარტაკთან“ ერთად მომავალი სეზონისთვის კისლოვოდსკში ემზადებიან, გროზნოს „ტერეკის“ ახალგაზრდულ გუნდთან ამხანაგური თამაში გამართეს.

ნალჩიკელება 2:1 მოიგეს, ქართველმა ფეხბურთელებმა კი სრულად ითამაშეს.

გროზნოელებთან არ უთამაშია „სპარტაკის“ კიდევ ერთ ქართველ ლეგიონერ გოგიტა გოგუას.

კახა შალამბერიძე

ზესტაფონი ანკარაში და ხუთ ფერში
რა ჰასუხი წაუღო უეფას სარგსიანმა?



26 ივნისს „ზესტაფონი“ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გაემგზავრა, სადაც 10 ივლისამდე დარჩება და უეფას თასის გათამაშებისთვის მოემზადება.

თურქულ შეკრებაზე დაგეგმილია ოთხი ამხანაგური მატჩის ჩატარება.

„ზესტაფონის“ პრესსამსახურის ცნობით, გუნდი სრული შემადგენლობით გაემგზავრა, გამონაკლისი მხოლოდ გაბონის ნაკრებში გამოძახებული პოლ კესანი და ეტიენ ბიტოო არიან.

რაც შეეხება ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, უკვე დაიწყო ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება.

როგორც შევიტყვეთ, სტადიონზე ხუთი სხვადასხვა ფერის სკამები იქნება...

25-26 ივნისს ზესტაფონსა და ქუთაისში იმყოფებოდა უეფას წარმომადგენელი, სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების მენეჯერი არნო სარგსიანი, რომელსაც ახლდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარე ბაქარ ჟორდანია და ამავე კომიტეტის წარმომადგენელი გიორგი გოგოლაძე.

სტუმრები გაეცნენ მდგომარეობას — დაათვალიერეს უეფას ოფიციალურ პირთა და სტუმართათვის განკუთვნილი სასტუმროები, აეროპორტი „კოპიტნარი“, ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი.

უეფას წარმომადგენელი მალე შეადგენს პატაკს, რომელსაც საგანგებოდ განიხილავენ უეფას სალიცენზიო განყოფილებაში და ზესტაფონში უეფას თასის მატჩის ჩატარება-არჩატარების საკითხიც ამის შემდეგ გადაწყდება...





კახა შალამბერიძე

ავრაამ გრანტი — კაცი, რომელმაც ლიგის ფინალში ათამაშა „ჩელსი“ და ეს ბევრმა ჟოზე მაურინიუს დაწყებულ გზას მიაწერა და ბევრმაც რომან აბრამოვიჩის ფულებს, დღეს საინტერესო ფიგურაა ქართულ ფეხბურთში. გრანტი ხომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გათავკაცების ყველაზე რეალურ კანდიდატად განიხილება: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ებრაელი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატს ესწრება, რუსული „სოვეტსკი სპორტის“ ჟურნალისტმაც იქ ნახა, გაესაუბრა და საქართველოს ნაკრებზეც შეეკითხა... ინტერვიუ ესპანეთი — რუსეთის გუშინწინდელი ნახევარფინალის წინაა ჩაწერილი და რუსმა ჟურნალისტმა გრანტს, პირველ რიგში, პროგნოზის გაკეთება სთხოვა. „ჩელსის“ ექს-თავკაცმა როგორ გამოიცნო, წაიკითხეთ...

ავრაამ გრანტი: საქართველო? უკომენტაროდ!

რუსეთმა ესპანეთთან ებრაელიც მოატყუა



— რუსეთის ნაკრები მოიგებს, სხვა აზრი ახლა არ მაქვს. თქვენი ნაკრები მატჩამდე უმატებს, ესპანელები კი, პირიქით, უფრო და უფრო სუსტად გამოიყურებოდნენ და, ვფიქრობ, რუსებს მეტი შანსი აქვთ.

— რუსეთის ნაკრებიდან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?

— იური ჟირკოვი. უბრალოდ, ფანტასტიკური ფეხბურთელია. რამდენადაც ვიცი, მას ევრო-2008-მდე მცველად არასოდეს უთამაშია, მაგრამ ნახეთ, როგორ გაიხსნა ახალ ამპლუაში. უახლოეს მომავალში, როცა ახალ კლუბს მოვძებნი, აუცილებლად ვეცდები ჟირკოვის შეძენას.

— კი მაგრამ, ამბობენ, რომ თქვენ არა კლუბს, არამედ ნაკრებს ჩაუდგებით სათავეში. საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნას მართლა გთავაზობენ?

— უკომენტაროდ.

საერთოდ, ასეთ სიტუაციაში, როცა კაცს ეკითხებიან თავის მომავალ სამსახურზე და მას გამხელა არ სურს, ამბობს, არავინ დამკავშირებიაო. გრანტის NO COMMENT კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ის სერიოზულად ფიქრობს ქართულ ვარიანტზე.

ჩივაძეს სარუსეთოდ ეპითეტები შემოაკლდა

ნეტავ ვის რა უხაროდა საქართველოში?



რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობა, თუმცა ამ გუნდის თამაშმა დიდი რუსეთი ისეთ ეიფორიაში ჩააგდო, რომ ძნელი სათქმელია, როდის მოახერხებენ იქიდან გამოსვლას და მიწაზე ფეხის დადგმას. რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ ესპანეთ — რუსეთის მატჩის წინ ინტერვიუ სთხოვა ალექსანდრე ჩივაძეს, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ კაპიტანს და მანაც ისეთები თქვა, რუსი ჟურნალისტები უკეთესს ვერც ინატრებდნენ...

— ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების გამოსვლას საქართველოში როგორ აფასებენ?

— გუს ჰიდინკის გუნდის თამაშს ჩვენთან თვალს დიდი ინტერესით ადევნებენ. უფრო ზუსტად რომ ვთქვა — აღტაცებით. მე და ჩემი მეგობრები რუსეთის ნაკრების თამაშით მართლაც აღტაცებულნი ვართ.

— რომელი შეხვედრა მოგეწონათ ყველაზე მეტად?

— თუ მეტოქის სიძლიერეს გავითვალისწინებთ, ჰოლანდიასთან ჩატარებულ შეხვედრას გამოვარჩევ. შვედებთანაც საუცხოოდ ითამაშა რუსეთმა. მანამდე კი, ბერძნებს არ დაუტოვეს შანსი...

— თავიდან ესპანეთთან 1:4 წაგების შემდეგ, რუსეთის ნაკრების ცენტრალურ მცველებს სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეთ. მათ რეაბილიტაცია მოახერხეს?

— რა თქმა უნდა. მომდევნო სამ შეხვედრაში დაცვის ცენტრი შეუღწევადი კედელს ჰგავდა. ამას ხელი დიდად შეუწყო შემადგენლობაში გამოცდილი იგნაშევიჩის დაბრუნებამ, რომელიც, ფაქტობრივად, უშეცდომოდ მოქმედებდა. კოლოდინმა ესპანელებთან თამაშში იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ ათ მატჩს ეყოფოდა, თუმცა მერე გამოსწორდა. მისმა შორეულმა დარტყმებმა, მგონი, მთელ ჰოლანდიაში შოკი გამოიწვია.

— ესპანეთ — რუსეთის ნახევარფინალში საქართველოში ფავორიტად ვის თვლიდნენ?

— ცხადია, რუსეთს. მისი თამაშით ისეთი აღფრთოვანებულნი არიან, რომ ფინალში რუსეთის გასვლის საქართველოში ბევრს სჯერა. ყველა ხედავს, რომ ჰიდინკის გუნდმა ფანტასტიკურად მოუმატა.

— 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საერთო დონეს როგორ აფასებენ და რამდენად ყურადღებით ადევნებენ ტურნირს თვალს საქართველოში?

— ყველა მატჩს პირდაპირ ეთერში აჩვენებენ და ტრანსლაციებისას ქუჩები ცარიელია. ეს გასაკვირი არაა, რადგან ჩემს სამშობლოში ფეხბურთი ძალიან უყვართ. ავსტრია-შვეიცარიაში კი, მართლაც, უმაღლესი დონის თამაშების მომსწრენი გავხდით, რაც დიდწილად, რუსეთის დამსახურებაცაა.

— რუსეთის საქართველოში ბევრი ქომაგობს? მის წარმატებას როგორ აღნიშნავენ?

— გულშემატკივრობენ, მაგრამ განსაკუთრებული ხმაურის გარეშე — ჩუმად უხარიათ. რაც მახსოვს, ქუჩაში გამარჯვების აღსანიშნავად ხალხი მხოლოდ 1981 წელს გამოვიდა, როდესაც „დინამომ“ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

— ჰიდინკის მუშაობას როგორ შეაფასებთ?

— თქვენ როგორ ფიქრობთ? ამ შემთხვევაში ნებისმიერი ეპითეტი არასაკმარისი იქნება. ჯადოსნური, ფანტასტიკური, საოცარი — რუსეთის ნაკრების თამაშს სრულიად მიესადაგება, მაგრამ მთელი ემოციის გადმოსაცემად, ეს სიტყვები ცოტაა.

— როდის მიაღწევს საქართველო ფეხბურთში ისეთ წარმატებას, როგორც ამჟამად რუსეთმა მიაღწია?

— მეკითხებით, როდის შეძლებს საქართველოს ნაკრები ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის მედლების მოპოვებას? პროვოკაციული კითხვაა. დიდი იმედი მაქვს, რუსეთის მაგალითი ჩვენთვის გადამდები იქნება. ბოლო და ბოლოს, საქართველოში მაღალი დონის ფეხბურთელები ყოველთვის იყვნენ...

ქართველები მუნდიალიტოზე

კვირას საქართველოს ფუტსალის ნაკრები პორტუგალიის რეგიონ ალგაროში მიემგზავრება, სადაც მეოთხედ ჩატარდება ევრო-აფრიკის თასის გათამაშება. ტურნირში საქართველოს, პორტუგალიის, ანგოლის, მოზამბიკის, უნგრეთის და სლოვაკეთის ნაკრებები ითამაშებენ.

საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრში მეორედ ითამაშებს და მეორედვე, ნაკრების სპონსორობა პორტუგალიურმა კომპანია KASTRO BROTHERS-მა ითავა.

ტურნირი ფიფას ეგიდით ტარდება, გუნდები კი ორ ჯგუფში განაწილდება, საიდანაც ნახევარფინალში ორ-ორი გუნდი გავა. ჯგუფებში ბოლო ადგილზე გასული გუნდები მეხუთე ადგილისთვის შეხვდებიან ერთმანეთს.

ეს ტურნირი რეპეტიციაც იქნება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც წლეულს ნოემბერში ბრაზილიაში ჩატარდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად არის მიჩნეული — ორი თვის წინ მსოფლიოს რეიტინგში პირველ ადგილზეც იყო და ამდენად, მასპინძლები ამ შეჯიბრს დიდ ყურადღებას უთმობენ.

პორტუგალია უდავო ფავორიტია და არც სხვა მეტოქეები არიან სუსტები. უნგრეთის ნაკრები მსოფლიო რეიტინგის ათეულშია. ანგოლა აფრიკის ვიცე-ჩემპიონია, მოზამბიკი კი მესამეადგილოსანი.

ერთი სიტყვით, ჩვენი ნაკრებისთვის არც ერთი თამაში გასეირნება არ იქნება.

საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში ახალგაზრდული შემადგენლობით მიდის და რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს არ იახლებს. ფუსტალის ასოციაციის პრეზიდენტ კახა დევდარიანის თქმით, საქართველოს ნაკრებში თაობათა ცვლაა და ასოციაცია ახალგაზრდა ფეხბურთელების ძიებაშია: „ჩვენმა გუნდმა გამოცდილება უნდა დააგროვოს. შემდეგ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაგვემატება, ნაკრები გაძლიერდება და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი ციკლებისთვის მზადებას შევუდგებით.“

ტურნირზე პორტუგალიის ნაკრების მატჩებს ორი ადგილობრივი არხი — RTR 2 და RTRN — პირდაპირ ეთერში აჩვენებს და იმ შემთხვევაში, თუ ჩვენები პორტუგალიასთან ერთად მოხვდებიან ჯგუფში, შესაბამისად, ტელემაყურებელს ქართველების თამაშის ნახვის საშუალებაც მიეცემა.

ტურნირი 2-6 ივლისს გაიმართება, საქართველოს ნაკრები კი ლისაბონს 8 ივლისს დატოვებს.

კახა დევდარიანი: „ნაკრები საკმაოდ დიდი ხანია, ემზადება და ბევრიც ვიმუშავეთ იმისთვის, რათა ამ ტურნირზე გვეთამაშა. რაც შეეხება იმას, ვართ თუ არაოპტიმისტურად განწყობილნი, მოდით, რეალისტები ვიყოთ. ჩვენ არ გვყავს ძლიერი ნაკრები, ხოლო ჩვენი მეტოქეები წამყვანი გუნდები არიან და სწორედ ეს არის კარგი ჩვენი ნაკრების განვითარებისთვის. მათგან ბევრს ვისწავლით“.

და ერთიც: ტურნირს ქართველი არბიტრიც მოემსახურება — შოთა ქუხილავა.

ნიკო ოსეფაშვილი



კახა დევდარიანი

ლიპის დაბრუნება

როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიის მთავარ მწვრთნელის პოსტიდან რობერტო დონადონი გაუშვეს და „სკუადრა აძურაში" მარჩელო ლიპი დაბრუნდა. ამ ინფორმაციამ ტიფოზების აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან გაახარა.

„ვადასტურებთ, რომ დონადონისთან კონტრაქტი გაუქმებულია. პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე მწვრთნელს შეხვდა. მათ განვლილი ორი წელი და უშუალოდ ევროპის ჩემპიონატი გააანალიზეს. აბეტემ დონადონისადმი დიდი პატივისცემა გამოხატა, მადლობა გადაუხადა პროფესიონალიზმსა და თავდაუზოგავი შრომისთვის, მაგრამ აცნობა, რომ კონტრაქტი გაბათილებულია" — ნათქვამია იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

რობერტო დონადონი: „ძალიან ვწუხვარ, რომ პენალტებმა გამოიწვია ეს ამბავი. თუმცა ორი წლის განმავლობაში ჩემმა იტალიამ ბევრი კარგი გააკეთა და ერთი თამაში ამას ვერ შეცვლის. საოცარი გამოცდილება მივიღე, რაც უაღრესად გამომადგება. მადლობას ვუხდი ფედერაციის პრეზიდენტ ჯანკარლო აბეტეს, გვიდო როსის და მთელ შტაბს. მარტო არასდროს ვყოფილვარ, რადგან ფეხბურთელები და უამრავი სხვა ადამიანი მუდამ ჩემს გარშემო იყვნენ. არანაირი კომპენსაცია არ ყოფილა და ეს არც მაღელვებს. ფული ყველა ადამიანისთვისაა საჭირო, მაგრამ ჩემთვის გადამწყვეტი არასდროს გახლდათ. პრეზიდენტ აბეტეს თავიდანვე ვუთხარი, კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში კომპენსაცია არ არის საჭირო-მეთქი. რაც შეეხება მარჩელო ლიპის, ხალხი მასზე ორი წელი ლაპარაკობდა. აბეტესთვის არ მიკითხავს, შეხვდა თუ არა ლიჰის. ეს ჩემი საქმე არ არის, ყველას შეუძლია, აკეთოს ის, რაც უნდა".

„ძალიან, ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. უაღრესად მოტივირებული გახლავართ" — მოკლედ განაცხადა ლიპიმ.

ვიარეჯოელი ჭაღარა ტაქტიკოსი, რომელმაც „სკუადრა აძურა" 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონობამდე მიიყვანა, საქმეს 1 ივლისიდან შეუდგება. ამ დღეს მას რომში პრესკონფერენცია ექნება. ლიპის სამუშაო ბევრი აქვს, ნაკრების გაახალგაზრდავება და 2010 წლის მუნდიალზე გაყვანაა საჭირო.

2004-დან 2006 წლამდე ლიპის ხელში იტალიის ნაკრებმა 29 მატჩი ჩაატარა, აქედან 17 მოიგო, 10 ფრედ დაასრულა და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა.

გიორგი კაკაბაძე

მორატის ახალი ერერა მაურინიუა

მილანის „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ სერიოზულ ტრანსფერებს ამ ეტაპზე აღარ აპირებს, ზაფხულის ჩემი დიდი შენაძენი ჟოზე მაურინიუაო. გარდა ამისა, მორატიმ ნდობა აღუთქვა „ნერაძურის" ახალგაზრდულ გუნდს, ამ ბიჭებს დიდი მომავალი აქვთო.

„მესმის, რომ გუნდში ცოტა იტალიელი გვყავს, მაგრამ ადვილი არ არის სათანადო იტალიელი მოთამაშის პოვნა იმ პოზიციებზე, რომლებზეც გვინდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდული გუნდი გვყავს შესანიშნავი, რომლისაც ძალიან გვეიმედება. პერსპექტიულ ფეხბურთელებს სრული ნდობა უნდა გამოვუცხადოთ და ძირითად გუნდში ვათამაშოთ ხოლმე. რაც შეეხება სამომავლო შენაძნებებს, აჯობებს, ჟურნალისტებს კითხოთ. როგორც ჩანს, მათ ჩემზე მეტი იციან. ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრში ცენტრალური ნახევარმცველი და 2-3 გარემარბია. თუმცა გადახარჯვას არ ვაპირებ, რადგან გაკოტრების სურვილი არ მაქვს. მწვრთნელი იმიტომ გამოვცვალეთ, რომ რობერტო მანჩინის ირგვლივ ცუდი გარემო შეიქმნა. გუნდში ერთიანობა აღარ იგრძნობოდა. დარმწუნებული ვარ, მაურინიუ სწორი არჩევანია. მართლაც განსაკუთრებული პიროვნება და კარგი ადამიანია, თან ჩვენს ამბიციებს შეესაბამება. ჟოზე ძალიან ჰგავს ლეგენდარულ ელენიო ერერას. სწორედ ის არის ჩემი დიდი საზაფხულო ტრანსფერი" — აღნიშნა მორატიმ.

კოკი კანდელაკი

ჯორჯო კიელინი კაპიტნობას უმიზნებს

ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო ჯორჯო კიელინი გახლდათ. ახალგაზრდა მცველმა საყოველთაო ქება დაიმსახურა და „სკუადრა აძურას" მომავალ ლიდერადაც შერაცხეს.

კიელინის თამაშის შემხედვარე, ტურინის „იუვენტუსის" შეფებმა მყისვე გაამზადეს ახალი კონტრაქტი და ამიერიდან 23 წლის მცველი 2013 წლის ზაფხულამდე „ბებერი ქალბატონის" საკუთრებაა.

„იმედი მაქვს, მომეცემა საშუალება, „იუვენტუსს" ვუკაპიტნო. ახლა ალესანდრო დელ პიერო და ჯანლუიჯი ბუფონი არიან. ალექსის წასვლის მერე, რამდენი ხანიც ითამაშებს, ჯიჯი იქნება კაპიტანი, მაგრამ მომავალში ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ კაპიტნის სამკლავურს გავიკეთებ" — თქვა კიელინიმ.

სხვათა შორის, წინა ზაფხულს კიელინი „მანჩესტერ სიტიში" გადასვლასთან იყო ახლოს, კლუბი მას სარფიანად გაყიდვას უპირებდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა და „იუვენტუსის" უფროსობა ახლა ამით ძალიან კმაყოფილია, რადგან გასულ სეზონში კიელინი გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

„ყველას დავანახე, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვიმსახურებ და გუნდისთვის მნიშვნელოვანი ვარ. მინდა მადლობა გადავუხადო უფროსობას, კლაუდიო რანიერისა და თანაკლუბელებს დახმარებისთვის. ჩემს ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება ზამთარში დაიწყო და სიტყვიერი შეთანხმებაც გვქონდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მერე ვაპირებდით შეხვედრას და ყველაფერზე საბოლოოდ მორიგებას. ასეც მოხდა. თითქმის იდეალური სეზონი მქონდა, ძალიან ვწუხვარ, რომ იტალიის ნაკრები ევრო 2008-ზე უფრო შორს ვერ წავიდა. ახლა მომავალზე ვფიქრობ და მოტივირებული ვარ, ჩემპიონთა ლიგაში უნდა ვითამაშოთ" — განაცხადა კიელინიმ.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა" თავისუფალი აგენტის სტატუსით ოლოფ მელბერგი დაიმატა. გამოცდილი შვედი მცველი კლუბს ნამდვილად გააძლიერებს. „ბიანკონერიში" ალბათ ხორვატი დარიო კნეჟევიჩიც გადავა.

ჯორჯო კიელინი: „ბევრი თამაშის ჩატარება მოგვიწევს და ადგილი ყველასთვის იქნება. მელბერგი გამოცდილი მცველია და ცხადია, გამოგვადგება. გუნდში ბევრი ფეხბურთელის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია, სათამაშო დრო როგორმე განაწილდება. თავად კი, კიდევ შემიძლია მომატება და ბევრი რამ დასახვეწი მაქვს. სისწრაფე მაკლია, ასევე მეტი უნდა ვიმუშაო კაცის აყვანაზე. მცველებს შორის ურთიერთგაგებაც უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობ, ჯერჯერობით კარგად გამოვიყურები ნაკრებშიც და „იუვეშიც". ცოტა იღბალიცაა საჭირო. მეხმარება ის, რომ დაცვის ცენტრშიც შემიძლია თამაში და ფლანგზეც. ვინ გახდება ევრო 2008-ს გამარჯვებული? ჩემი ფავორიტი გერმანიაა, რომელიც შეკრული გუნდია დიდი შემართებით".

გიორგი კაკაბაძე

ემანუელი ვენაში

ემანუელ ადებაიორმა მის გარშემო ატეხილ სატრანსფერო მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღო. „მე არსენალში" ვრჩები" — განაცხადა ტოგოელმა თავდამსხმელმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, ადებაიორმა, ყველა შეჯიბრებაში ერთად, ლონდონელი „მეთოფეების" შემადგენლობაში 48 თამაში ჩაატარა და 30 გოლი გაიტანა. ბოლო პერიოდში მას ეპატიჟებოდნენ იტალიური „მილანი" და კატალონიური „ბარსელონა".

24 წლის ვარსკვლავმა, რომელიც ევრო 2008-ს მაყურებლის რანგში ესწრება, ვენაში განაცხადა:

„მე „არსენალის" ფეხბურთელი ვარ და ჩემს კლუბთან კიდევ სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ამ ეტაპზე, ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი საკუთარი ფეხბურთით სიამოვნების მიღებაა. ერთი სიტყვით, „არსენალში" ვრჩები".

არადა, ხუთშაბათს ადებაიორის აგენტმა ვინჩენცო მორაბიტომ განაცხადა, რომ მისი კლიენტი 80 პროცენტით უკვე მილანელია.

„შავ-წითლებმა", რომლებმაც ამ ზაფხულს „არსენალსგან" ერთი ფეხბურთელი, კერძოდ კი მეტიუ ფლამინი უკვე იყიდეს, ერთი ხნის წინ გამოაცხადეს, რომ მათთვის მიმდინარე სატრანსფერო საზონის მთავარი სამიზნე ადებაიორია. როგორც ჩანს სიტუაცია შეიცვალა.

პაპუნა კედია

ზღვაზე თეთრი აფრები
LA DOLCE VITA





ევროპის ჩემპიონატი შეიძლება მოიგო ან წააგო, მაგრამ იახტას, პლაჟსა და საყვარელ ქალს ვერავინ შეგეცილება. როგორც ჩანს, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავს, კრიშტიანუ რონალდუს ეს ამბავი კარგად მოეხსენება და ამიტომაც ლაღობს ასე.

ძალიან უნდოდა 23 წლის ვარსკვლავს მანჩესტერიდან მადრიდის „რეალში“ გაქცევა, მაგრამ ვაგლახ, არ გამოუვიდა. არადა, რა ღონეს არ მიმართა: თვით სერ ალექს ფერგიუსონის ზარებს არ პასუხობდა, გადარია ლეგენდარული ბერიკაცი, ბოლოს კი, რომ მიხვდა, ვერსად გაიქცეოდა, კლუბში დარეკა და დანიშნულ დღეს მანდ ვიქნებიო, ისე უთხრა, გეგონება, ალიაქოთი მის გამო არ ყოფილიყო ატეხილი.

აი, ასე, მსუბუქად უყურებს ცხოვრებას ყველას საყვარელი ფეხბურთელი კრისი, რაშიც 24 წლის სატრფო ნერეიდა გალიარდოც ეხმარება — ფაქტები თქვენს წინაშეა.

მეტსაც გეტყვით, ამავე პლაჟზე გადაღებული რამდენიმე ფოტო ამოვიღეთ კიდეც — მოკრძალებული ხალხი ვართ, ქართველები. ყოველ შემთხვევაში, მისი ერთი ნაწილი.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა კი ჩვენს მიერ მორცხვად ამოღებულ ფოტოებზე ასე თქვეს: პორტუგალია — ესპანეთი მიმდინარეობსო.

რაც შეეხება წყალში ხტომას და ყვინთვას, სიტყვა ყვინთვის სიტყვის არასაფეხბურთო გაგებით (საფეხბურთოთი ინგლისელები მსაჯის მოსატყუებლად ძალად გაკოტრიალებას ეძახიან) ეს რონალდუს ჩინებულად შეძლებია.

პაპუნა კვიდია

დანიელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ინგლისურმა „ლივერპულმა“ 17 წლის ნიკოლას სარიჩთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მერსისაიდელებმა იგი „ჰერფიოლგედან“ დაიმატეს. წარმოშობით სერბ სარიჩს დანიელ ზლატან იბრაჰიმოვიჩს ეძახიან. მისით „ბარსელონა“, „ტოტენჰემი“ და სხვა კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი.

იმ კვირაში კი „ენფილდის“ ბინადრები ოფიციალურად გააფორმებენ ანდრეა დოსენას ტრანსფერს.

გომეში დეზების კარში

ლონდონის „ტოტენჰემმა“ მეკარის ძიება დაასრულა. „დეზებმა“ არჩევანი ეურელიუ გომეშზე შეაჩერეს. 27 წლის ბრაზილიელი გოლკიპერი წინა სეზონში პსვ-ს რიგებში ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა, 34 მატჩში 24 ბურთი გაუშვა. ტრანსფერის დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

სარაგოსადან ოლიმპიაკოსში

სეგუნდადივიზიონში გავარდნილი „სარაგოსა“ 25 წლის ნახევარმცველმა ოსკარ გონსალესმა დატოვა, კლუბში გატარებული ოთხი წლის შემდეგ. იგი ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ გადაბარგდა. გონსალესმა თავის ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ტურამი პსჟ-ში

ფრანგული „ეკიპის“ ცნობით, უკვე შეგვიძლია, ვეტერანი მცველი ლილიან ტურამი პსჟ-ს ფეხბურთელად ჩავთვალოთ. იგი „ბარსელონადან“ წამოვიდა, პარიზშიც უკვე იყო და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. მხარეები სიტყვიერად ყველაფერზე შეთანხმებულან და მალე ტრანსფერს ოფიციალური სახე მიეცემა.

ბენ არფათი ბედნიერი გერეტსი

სამირ ნასრის ლონდონის „არსენალში“ გადასვლას საშველი აღარ დაადგა, მაგრამ ფაქტობრივად გადაყვეტილია, რომ ეს მოხდება, უბრალოდ დროის ამბავია. „მარსელმა“ კი უკვე იპოვნა ნასრის შემცვლელი, ეს იქნება ჰათემ ბენ არფა, ვინც „ველოდრომზე“ „ლიონიდან“ გადავიდა.

„ჰათემი ძალიან ნიჭიერი და ძლიერია, იგი დიდ ფეხბურთელად გაირზდება. მიხარია, რომ გუნდში ასეთი მოთამაშე მეყოლება, ბენ არფა ნასრის ღირსეულად შეცვლის“ — თქვა „მარსელის“ მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა.

სიახლეები დინამოში

კიევის „დინამომ“ საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი შახირ ბელგაზუანი ერთი წლით „სტრასბურში“ გაანათხოვრა, რათა ფეხბურთელმა სათამაშო პრაქტიკა მიიღოს.

ამასობაში, კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტეს და თავისუფალი აგენტები გახდნენ გორან გავრანჩიჩი და მარიან მარკოვიჩი.

კიეველებს ახალწვეულიც ჰყავთ — ბრაზილიელი მცველი ბეტაუ. „დინამომ“ „სანტოსს“ მასში 2,5 მილიონი დოლარი გადაუხადა და ერთი სეზონით შემტევი ნახევარმცველი მაიკლიც ათხოვა. ბეტაუსთან კი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დიკა კატანიაში გადავიდა

სიცილიურმა „კატანიამ“ შემტევი რუმინელი ნახევარმცველი ნიკოლაე დიკა იყიდა. „ელეფანტიმ“ ბუქარესტის „სტიაუას“ მასში დაახლოებით 3 მილიონი ევრო გადაუხადა. შეგახსენებთ, რომ „კატანიას“ ამჟამინდელი მწვრთნელი ვალტერ ძენგა რამდენიმე წელი რუმინეთში მუშაობდა და იქაურ ბაზარს კარგად იცნობს. დიკას „სტიაუაში“ 124 მატჩი აქვს ჩატარებული და 54 გოლი გატანილი. ნაკრებში კი 28-ჯერ უთამაშია.

ატლეტიკოს შენაძენი

მადრიდის „ატლეტიკო“ ფლორან სინამა-პონგოლით გაძლიერდა. კლუბმა 23 წლის ფორვარდის სანაცვლოდ „რეკრეატივოს“ 8 მილიონი ევრო გადაუხადა, ხოლო ფეხბურთელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფრანგმა „რეკრეატივოში“ 61 მატჩი ჩაატარა და 20 გოლი გაიტანა.

სლოვაკთა ახალი თავკაცი

სლოვაკეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ვლადიმირ ვაისი. მან ამ პოსტზე იან კოჩიანი შეცვალა, რომელიც ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე ნაკრების ცუდი გამოსვლის გამო მოხსნეს. ვაისი აქამდე წარმატებით მუშაობდა „არტმედიაში“. მისი ოფიციალური წარდგენა და პრესკონფერენცია მომავალ კვირაში გაიმართება.

სიტი მილიტოს ეპატიჟება

ინგლისურმა „მანჩესტერ სიტიმ“ დიეგო მილიტოს დაადგა თვალი. არგენტინელი ფორვარდი სეგუნდადივიზიონში გავარდნილ „სარაგოსაში“ ალბათ არ დარჩება და კლუბს გამოიცვლის. მისი აგენტის თქმით, ამჟამად ერთადერთი ოფიციალური შემოთავაზება სწორედ „სიტისგანაა“.

შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს მილიტო ტურინის „იუვენტუსში“ გადასვლასთან იყო ძალიან ახლოს, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა.

კოკი კანდელაკი

ევროპავდარი 2008



როგორც ჩანს, ტელეკომპანიები იჩივლებენ — საქმე ეხება ევრო 2008-ის პირველ ნახევარფინალურ მატჩს, რომლის მსვლელობისას სამჯერ გაქრა სატელევიზიო გამოსახულება. იმ დღეს ერთმანეთს გერმანიისა და თურქეთის ნაკრებები ხვდებოდნენ. შეხვედრა გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა — 3:2.

როგორც უეფას წარმომადგენელმა ალექსანდრ ფურტუამ განაცხადა, ტელეხარვეზების მიზეზი რამდენიმე იყო, მათ შორის ავდარი, რომელიც ძაბვის ვარდნას დაემთხვა.

იმ ტელეკომპანიათა შორის, რომელთაც გამოსახულება გაუქრათ, ინგლისური BBC-ც გახლდათ, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, მიმართოს თუ არა სასამართლოს. მსგავსი შეცდომის თავიდან ასარიდებლად, მეორე დღეს უეფა ესპანელთა და რუსთა ნახევარფინალის ტრანსლაციისას უკვე სხვა სისტემას დაეყრდნო.

ზემოთ ავდარი ვახსენეთ: ოთხშაბათს, 25 ივნისს, ვენასა და მის შემოგარენში ძლიერი თავსხმა, ქარბუქი და ელ-ჭექი დაფიქსირდა. უეფას მედია-ტექნოლოგიების მთავარმა ოფიცერმა, ზემოხსენებულმა ფურტუამ განაცხადა:

„რაც მოხდა, პირწმინდად ტექნიკური მიზეზებით გახლდათ გამოწვეული. ძალიან ვწუხვართ. ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, მრავალი ფაქტორი გაგვითვალისწინებინა, მათ შორის ამინდიც, რომელიც ამ დღეებში მართლაც საგანგებოა. გერმანიისა და თურქეთის შეხვედრის მეორე ტაიმის განმავლობაში სამი მიკროჩაქრობის მსხვერპლნი შევიქენით. თითოეული ჩაქრობა წამის მეათედს გრძელდებოდა, მაგრამ ყველამ ნახა როგორი შედეგებიც გამოიწვია“.

ფურტუამ თქვა, რომ მან ზუსტად არ იცის, რამდენ ქვეყანას შეუწყდა რეპორტაჟი, თუმცა გვარიანად ბევრ პარტნიორს კონტრაქტის პირობა რომ დაერღვა, ფაქტია.

თავის მხრივ, BBC-ს მარკეტინგისა და კომუნიკაციათა შეფმა ლუისა ფაინესმა განაცხადა, რომ მის მაყურებელს კარგად ესმის, გამოსახულების გამორთვის მიზეზი ტელეკომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზებით იყო განპირობებული.

„ჩვენს არხზე ფეხბურთის 9 მილიონი ადამიანი უყურებდა, საჩივარი კი მხოლოდ 168 ადამიანმა შემოიტანა. ჩვენმა მაყურებელმა გაიგო, რაც მოხდა და გაიგო, რომ ეს BBC-სგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა. რაც შეეხება იმას, ვიჩივლებთ თუ არა, მოგახსენებთ, რომ ჯერ ყველაფერი კარგად უნდა გამოვიძიოთ და გადაწყვეტილებას მერე მივიღებთ“.

უეფას კომუნიკაციათა დირექტორმა უილიამ გეილარდმა კი თქვა, რომ შტორმი კიდევ ცოტა ხანს რომ გაგრძელებულიყო, მსაჯს თამაშის შეწყვეტა მოუხდებოდა.

„რაა გასაკვირი, როდესაც ფეხბურთის მატჩი ასეთ ამინდში ტარდება, მსაჯმა ნებიმიერ წუთს შეიძლება შეწყვიტოს თამაში, რამდენიმე წუთით მაინც. საბედნიეროდ, ავდარი სულ 25-30 წუთს მძვინვარებდა. ივნისში ცენტრალურ ევროპაში ასეთი ქარბუქი ჩვეულებრივ არ იცის ხოლმე“.

ამბობენ, ვენის ცეტრში განლაგებული ფან-ზონა ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით, საღამოს თერთმეტის თხუთმეტ წუთზე დახურეს კიდეც. ამ დროს ორი ადამიანი დაშავებულა.

პაპუნა კედია

ტრავმა კი ნამდ-ვილია

დავიდ ვილიას ჰო, ან არა

ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი დავიდ ვილია ფინალს გამოტოვებს — კვირამდე მისი გამოჯანმრთელების შანსი ფაქტობრივად ნულის ტოლია.

ვილიამ ნახევარფინალში, რუსეთის წინააღმდეგ მარჯვენა ფეხის ბარძაყი იტკინა.

ესპანელთა 69 წლის მწვრთნელმა ლუის არაგონესმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„ვილია ფინალში არ გვეყოლება. მან კუნთი გაიჭიმა“.

შეგახსენებთ, რომ დავიდ ვილია მიმდინარე ევრო 2008-ის ბომბარდირთა ლიდერია. შეჯიბრების ხუთ შეხვედრაში მან ოთხი გოლი გაიტანა, რომელთაგან სამი პირველ შეხვედრაში რუსეთს შეუგდო — შეგახსენებთ, რომ ესპანელები ტურნირის მსვლელობისას რუსებს ორჯერ შეხვდნენ და სულ შვიდი გოლი გაუტანეს. ესპანელთა სამწუხაროდ, ნახევარფინალური მატჩის 35-ე წუთზე „ვალენსიას“ თავდამსხმელი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

თავად ვილიამ ჟურნალისტებს თავისი დაშავების ამბავი ასე აღუწერა:

„კუნთი თავიდან სპრინტერული გარბენის დროს გამეჭიმა, ხოლო შემდეგ, ჯარიმა რომ დავარტყი, ტკივილი გამიძლიერდა და თამაში ვეღარ შევძელი. რასაკვირველია, იმწუთასვე მივხვდი, რომ ფინალში ჩემი თამაში სათუო იყო და საშინელ გუნებაზე დავდექი, მაგრამ მეორე ტაიმში, როდესაც ვნახე, ჩემმა თანაგუნდელებმა როგორ ითამაშეს, გამოვცოცხლდი და ამწუთას, ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერი გახლავართ. მინდა, კვირას ყველასთან ერთად ევროპის ჩემპიონობა ვიზეიმო. ფინალში გასვლა მთელი გუნდის დამსახურებაა და კვირას ჩემპიონატს გვირგვინიც უნდა დავადგათ“.

თუმც გუშინ ესპანელებს იმედი გაუჩნდათ...

„დღეს ვილია ვენის ერთ-ერთ საავადმყოფოში რამდენიმე ტესტს გაივლის, რის შემდეგაც კიდევ ერთხელ ვნახავთ ფეხის მდგომარეობას და უკვე შეგვეძლება ოფიციალურად თქმა, ითამაშებს ის ფინალში, თუ ვერა“ — თქვა ესპანეთის ნაკრების ექიმმა.

პაპუნა კედია

ანდრეი არშავინი

ნახევარფინალი თავის მოსანონებლად

„ბარსელონა“ და რუსეთის ნაკრების მეათე ნომერი, ანდრეი არშავინი, ბოლო დღეებში რამდენჯერმე ახსენეს ერთად, გუშინ კი დაზუსტდა: კატალონიელებს სანკტ-პეტერბურგის „ზენიტისთვის“ ოფიციალური წინადადება გაუგზავნიათ. ეს რომ ასეა, თავად ნევის-პირელებმა დაადასტურეს, მაგრამ რა გამოდის? როგორც სააგენტო „რეიტერი“ წერს, გამოდის, რომ რუსი ვარსკვლავი ევრო 2008-ის ნახევარფინალში, ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ პირველადი მოტივაციის გარდა, თავისი მომავალი კლუბისთვის თავის მოწონების იდეითაც იყო ანთებული, მაგრამ ეფექტი ვერ მოახდინა და არ არის გამორიცხული, რომ ეს სწორედ ზედმეტი მონდომების ბრალი იყო.

ხუთშაბათ საღამოს „ბარსელონასკენ“ გეზაღებული არშავინი „ბარსელონადან“ 16 წლის ასაკში წასულმა სესკ ფაბრეგასმა დაჩრდილა. „არსენალის“ ვერსკვლავი ლუის არაგონესის ხელში, ევრო 2008-ზე თამაშებში მწვავედ ჩამრთველი სათადარიგო ფეხბურთელის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ რუსეთთან შეხვედრაში თანაგუნდელის, დავიდ ვილიას ნაადრევმა დაშავებამ მოედანზე უფრო დიდხანს ყოფნის შანსი მისცა, რითაც საუცხოოდ ისარგებლა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ „ბარსელონასა“ და არშავინს.

„ჩვენ „ბარსელონასგან“ ანდრეი არშავინის თაობაზე ოფიციალური წერილი მივიღეთ, მაგრამ გადაწყვეტილების მისაღებად ჯერ თავად ანდრეის დაბუნებას დაველოდებით“ — განაცხადა სანკტპეტერბურგელთა კლუბის პრეზიდენტის მრჩეველმა კონსტანტინ სარსანიამ, რომელმაც ფინანსურ დეტალებზე არაფერი თქვა, თუმცა ესპანურ პრესას რა დაემალებოდა — საუბარი 15 მილიონ ევროს ანუ 23,51 მილიონ დოლარს ეხება.

აღსანიშნავია, რომ თავად არშავინი „ბარსელონას“ ფანია და, ბუნებრივია, გული კატალონიისკენ მიუწევს.

პაპუნა კედია

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ_ შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიდ სილვა: ბედნიერი ვარ!

ჩია კანარელის საბოლოო მიზანი

ეს ინტერვიუ დავიდ სილვამ ესპანურ AS-ს რუსეთთან ნახევარფინალური მატჩის მერე მისცა. და რა გააკეთა 22 წლის ვალენსიელმა ნახევარმცველმა უშუალოდ შეხვედრის მსვლელობისას? „ფურია როხას“ მესამე გოლი გაიტანა

— ფინალში გავედით და, ცხადია, ძალიან კმაყოფილები და ბედნიერები ვართ. შესაძლოა, გარედან ისე ჩანდა, თითქოს იოლად გავიმარჯვეთ, არადა, ასე არ ყოფილა. პირველი ტაიმი ძალიან მძიმე იყო. შესვენების მერე კი თამაშის ისე დალაგება მოვახერხეთ, რომ მაქსიმალური ეფექტისთვის მოგვეღწია. ბურთსაც ვაკონტროლებდით და უბრალო შეცდომებიც არ დაგვიშვია.

— რა გითხრათ მწვრთნელმა შესვენებისას ისეთი, მეორე ტაიმში თამაში ასე რომ გადააწყვეთ?

— გვითხრა, რომ ასეთ მძიმე მატჩში საჭირო იყო, დაბალი პასებით გვეთამაშა და ბურთის შენარჩუნებაზე გვეზრუნა. ანგარიში რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაგვეხსნა. ეს მოვახერხეთ კიდეც. ხავიმ რომ გაიტანა, თავი გაცილებით კომფორტულად ვიგრძენით.

— მეორე ტაიმში უბრალოდ ბრწყინვალედ ითამაშეთ...

— ჰო, ასე იყო. როცა ბურთს აკონტროლებ და თამაშის გასაშლელად სივრცე გაქვს, ყველაფერი გამოგდის. ასეთ დროს მოწინააღმდეგისთვის ძნელია, რამე დაგიპირისპიროს. ამ მატჩში ეს კარგად გამოჩნდა.

— ესპანეთს ნაკრებმა მთელი თავისი შემტევი პოტენციალი რუსეთთან თამაშში აჩვენა თუ ფინალისთვისაც გაქვთ რამე შემონახული? შეძლებთ კიდევ უფრო მწვავედ შეუტიოთ?

— ჩვენ საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გვყავს, რომლებმაც იციან, ბურთით რაც უნდა აკეთონ. როგორც გითხარით, პირველი გოლის მერე დიდი სივრცეები გაგვეხსნა, რამაც საშუალება მოგვცა, შეტევაში ჩვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. დანარჩენი კვირას გამოჩნდება.

— რას გრძნობთ ახლა, როცა უკვე ფინალში ხართ?

— ბედნიერი ვარ!

— მშობლიურ არგინეგინიდან (ყველაზე დიდი ქალაქი კანარის კუნძულებზე) მილოცვები მიიღეთ?

— რა თქმა უნდა, უამრავი მესიჯი მომივიდა.

— თუ გაქვთ გააზრებული, რამხელა სიხარული აჩუქეთ ესპანელ გულშემატკივრებს?

— ცხადია და ძალიან გვიხარია ფინალში გასვლა. ახლა ერთი თამაშიც დაგვრჩა, ჩვენს საბოლოო მიზანს რომ მივაღწიოთ.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი — წყვილი — შედეგი — კოეფ-ტი — სისტ

— ჩოგნით საცემი ხარ, ტო! ორი ჩოგნით! სამ სეტში! ეს რამ ჩაგაწერინა!

— რა ვიცი, ძმაო. ალა კუდრიავცევაზე ხო არ დავდგებოდი. შარაპოვა უეჭველი არ იყო?

— შორტიკებიან გოგოზე ფულს რატო დებ, ტო, თუ იგროკი ხარ?! ვერა ხედავ, რო მაგას კორტი პოდიუმი ჰგონია? შარვლით ჯოკოვიჩმა წააგო და შარაპოვა მოიგებდა?

ეს რაღაა, ჰიდინკის ერთიანი რო მიგიბია?..

— წყვილად ავიღე რუსეთი და შარაპოვა. გადავაბი. მეთქი, „ზენიტმა“ უეფა, ჰოკეიშიც მსოფლიო, წელს ყველაფერს რუსები იგებენ და ბარემ...

— რა ბარემ, ტო! რა წყვილად... არა, ისე, წყვილი ჩოგნით საცემი კი ხარ, ესეთი რამეები რო მოგდის თავში.

— რავი, ძმაო, გაზპრომი ყველაფერს ყიდულობსო და რუსეთზე არ უნდა დავმდგარიყავი?

— ჰოლანდიის მერე გაზპრომს მაყუთი გაუთავდა, ტო. ესპანელებს უთხრეს, პირველი ტაიმის ბოლომდე გვაცალეთ და შესვენებაზე ცვეტში ნაღდს მოვიტანთო, მარა ვერ იშოვეს და მერე წავიდა, ხავი, გუისა, სილვა და რამე, ტო. ეგრეა, რა. დროზე უნდა მიეტანათ.

— ფინალში არაგონესი ხარ?

— არა, ლიოვა.

— რომელი ლიოვა, ჩვენთან მეორე პადიეზდში მესამეზე რო...

— რა მესამეზე, ტო! იოახიმ ლიოვი ვარ, გაიგე? ნემცი ვ გოროდე არ გაგიგია?

— ზნაჩიტ, იმენა გერმანულ ტანკში ზიხარ? უეჭველი იგებენ?

— ისეთი სვოდკა მომივიდა, რო გერმანიის ერთიანს წვეთი ლუდი არ გაუვა.

— რა პონტში?

— თურქებს რო ჯადოქრები ჰყავდათ დაქირავებული, ხო იცი...

— მერე?

— მერე ისა, რო თურქები რო გავარდნენ, ეგ ჯადოქრები უმუშევრად ხო არ დარჩებოდნენ, ტო...

— და...

— ჰოდა, იოახიმ ლიოვს დაუთრევია და ოთხდღიანი კონტრაქტი.. დღეში მილიონ ევროდ. ვენაში ხუთვარსკვლავიან სასტუმროში შეასახლა, ხარჯებს გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია კისრულობს.

დღეს ჯადოქრები ზბორებზე არიან ქალაქგარეთ. დახურული ვარჯიში აქვთ. თუ გერმანიას მოაგებინებენ, მამენტ კონტრაქტს გაუგრძელებენო, მარა ამბობენ, რო კიდე ერთი ნაკრები, თურმე, უფრო დიდ მაყუთს სთავაზობს თავისი პურმარილით...

ძუში ძოშმარია

ჩემი ბილეთი:
001 გერმანია — ესპანეთი
შედეგი: 2,5 და მეტი შტანგა-გოლი
სავარაუდო მოგება:
ტკბილი ევრომოგონებები
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ ვინ გამორთო მეცხრე ბლოკი გერმანია — თურქეთის მატჩისას

114140 *

euro_fan_2008@yahoo.com

ალექსანდრე შენგელია: სალამი ყველას!

დამთავრდა რუსების ეიფორია. იმ ორი ვარიანტიდან, რაზეც ძირითადად ქალაქში საუბრობდნენ, უკეთესი გამართლდა. პირველი ვარიანტი ყველამ იცის, თითქოს რუსებმა ყველაფერი იყიდეს და ჩემპიონები ხდებოდნენ, მეორე ვარიანტი კი სავსებით რეალურადაც ჟღერდა, რუსებს ჰოლანდიასთან თამაში წაუვიდათ, ერთ თამაშს გუნდი ყოველთვის ახერხებს. კარგია, რომ ასეც მოხდა, თორემ გუშინდელი რუსების შემხედვარე, საშინელი ფინალი იქნებოდა გერმანია — რუსეთი. ნამდვილად ეგრე გამოვიდა, რუსებმა ჰოლანდიასთან იფრინეს და დამსახურებულად მოიგეს, თუმცა აქ ისაა აღსანიშნავი, რომ მათ ეს იმ კონკრეტულ თამაშში გამოუვიდათ და მეტი არაფერი. შეიძლება, უხეში შედარებაა, მაგრამ იგივე შემიძლია ვთქვა იმაზე, თუ როგორ მოვუგეთ ჩვენ შოტლანდიელებს, ან თავის დროზე ბულგარელებს, კონკრეტული თამაში მაღალ დონეზე ჩავატარეთ და მოვიგეთ, იგივე გააკეთეს რუსებმა, მე ვერცერთი მათი ფეხბურთელის დიდი ტექნიკური შესაძლებლობები ვერ დავინახე ესპანელებთან თამაშში, იგივე რეკლამირებული არშავინი საერთოდ იყო თუ არა მოედანზე, ვერც გაიგებდა კაცი. ალბათ, გუს ჰიდინკი „პოლუფინალის“ კაცია, მუდამ ამ ეტაპამდე მიდის. ესპანელები გუშინ დაფრინავდნენ, საოცრად ითამაშეს, ალალად ჩემპიონობას ვუსურვებ, ეკუთვნით ნამდვილად. ჯერჯერობით ესპანელებს არცერთი თამაში არ წაუგიათ და სწორედ ესეთი გუნდი უნდა ხდებოდეს ჩემპიონი, თავის დროზე, 2006-ში იტალიამაც არცერთი თამაში არ წააგო.

ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ რაული არ წაიყვანა არაგონესმა, რა ახირება იყო, ვერ მივხვდი, წაეყვანა და სულ სათადარიგოდ ყოლოდა, რამდენი ფეხბურთელი უზის ახლა თადარიგში ისე, რომ არც კი გამოვლენ ამ ტურნირზე მოედანზე. უბრალოდ, ამ ფეხბურთელს ეკუთვნის ევროპის ჩემპიონის მედალი (თუ გახდება ესპანეთი), რაულისნაირი ფეხბურთელები იმსახურებენ ასეთ ტიტულს კარიერის განმავლობაში. რაც შეეხება თურქებს, შესანიშნავად ჩაატარეს ჩემპიონატი, მართლა ბრძოლისუნარიანი გუნდია და დაამტკიცეს, რომ 13-14 კაცითაც მშვენივრად ითამაშებს, მთავარია შემართება, ფინალში რომ გასულიყვნენ, ვერავინ იტყოდა, დაუმსახურებლად გავიდნენო.

კარგი ფინალი იქნება.

euro_fan_2008@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტი



ენრიკე იგლესიასს, ხულიოს ძეს, ხელთ უპყრია ანრი დელონეს თასი, რომლისთვისაც ხვალ შეიბმებიან ესპანეთი და გერმანია.

ენრიკეს კი თასი იმად დააჭერინეს, რომ ფინალის წინ ჩემპიონატის ოფიციალური ჰიმნი უნდა ამღერონ. მაგრამ იგლესიასი რომ ესპანელია? გერმანელებს ხომ არ ეწყინებათ?

ნუ არ ვიცით, აი, სერგეი სემაკუის შვილს სულაც არ უნდა სწყინდეს, მამას შინ რომ მიჰყავს. ხოლო სანამ სემაკი შვილთან ერთად მიაბიჯებს, დენის კოლოდინს უცხო ქომაგი გოგო ჩაჰხუტებია. შევნიშნოთ: კოლოდინს ეს ამბავი მაინცდამაინც არ ახარებს.

მოსკოვის შუაგულში კი რუსი გულშემატკივარი თამაშის დაწყებისას თავისიანების სამი გოლისა ეიმედებოდა და ეს იმედი თავისი სიგარეტის კვამლივით გაეფანტა.

ხაბი ალონსო კი, აი, ასე, მოედანზე დააყენეს, უკან ბანერი დაუდგეს და ისე ალაპარაკებენ ზღვა ჟურნალისტებისთვის.



ევროპის ჩემპიონატის ყველა ფინალი 1960 — 2004

1960

10 ივლისი. პარიზი. „პარკ დე პრენსი“

სსრკ 2:1დ.დ.(1:1) იუგოსლავია

0:1 გალიჩი (41), 1:1 მეტრეველი (49), 2:1 პონედელნიკი (114)

სსრკ: იაშინი, ჩოხელი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ვ. ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი

იუგოსლავია: ვიდინიჩი, დურკოვიჩი, იუსუფი, ზანეტიჩი, მილადინოვიჩი, პერუშიჩი, იერკოვიჩი, შეკულარაცი, გალიჩი, მატუში, კოშტიჩი

მსაჯი: ელისი (ინგლისი)



1964

21 ივნისი. მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“

ესპანეთი 2:1 სსრკ

1:0 პერედა (6), 1:1 ხუსაინოვი (8), 2:1 მარსელინო (84)

ესპანეთი: ირიბარი, რივილია, ოლივეელია, კალიეხა, სოკო, ფუსტე, ამანსიო, პერედა, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა

სსრკ: იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, მუდრიკი, ვორონინი, ანიჩკინი, ჩისლენკო, ვ. ივანოვი, პონედელნიკი, კორნეევი, ხუსაინოვი

მსაჯი: ჰოლანდი (ინგლისი)



1968

8 ივნისი. რომი. „სტადიო ოლიმპიკო“

იტალია 1:1დ.დ.(1:1) იუგოსლავია

0:1 ჯაიჩი (39), 1:1 დომენგინი (80)

იტალია: ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ფერინი, გვარნერი, კასტანო, დომენგინი, იულიანო, ანასტაზი, ლოდეტი, პრატი

იუგოსლავია: პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, დამიანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი, პეტკოვიჩი, ტრივიჩი, მუსემიჩი, აჩიმოვიჩი, ჯაიჩი

მსაჯი: დინსტი (შვეიცარია)

გადათამაშება

10 ივნისი. რომი. „სტადიო ოლიმპიკო“

იტალია 2:0 იუგოსლავია

1:0 რივა (11), 2:0 ანასტაზი (32)

იტალია: ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, სალვადორე, გვარნერი, როზატო, დომენგინი, მაცოლა, ანასტაზი, დე სისტი, რივა

იუგოსლავია: პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, დამიანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი, ჰოსიჩი, ტრივიჩი, მუსემიჩი, აჩიმოვიჩი, ჯაიჩი

მსაჯი: ორტის დე მენდიბილი (ესპანეთი)

1972

18 ივნისი. ბრიუსელი. „ეიზელი“

გფრ 3:0 სსრკ

1:0 გ. მიულერი (27), 2:0 ვიმერი (52), 3:0 გ. მიულერი (58)

გფრ: მაიერი, ჰიოტგესი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ბრაიტნერი, ჰიონესი, ვიმერი, ნეტცერი, ჰაინკესი, გ. მიულერი, კრემერსი

სსრკ: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, კაპლიჩნი, ისტომინი, ხურცილავა, კონკოვი (დოლმატოვი 46), კოლტოვი, ტროშკინი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (კოზინკევიჩი 66), ონიშჩენკო

მსაჯი: მარშალი (ავსტრია)

1976

20 ივნისი. ბელგრადი. „ცრვენა ზვეზდა“

ჩეხოსლოვაკია 2:2(პენ.5:3) გფრ

1:0 შვეპლიკი (8), 2:0 დობიაში (25), 2:1 დ. მიულერი (28), 2:2 ჰოლცენბაინი (89)

ჩეხოსლოვაკია: ვიქტორი, პივარნიკი, ონდრუში, ჩაპკოვიჩი, გიოგი, დობიაში (ვესელი 94), მოდერი, პანენკა, მასნი, შვეპლიკი (იურკემიკი 79), ნეჰოდა

გფრ: მაიერი, ფოგთსი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, დიცი, ვიმერი (ფლოე 46), ბონჰოფი, ბეერი (ბონგარცი 80), ჰიონესი, დ. მიულერი, ჰოლცენბაინი

მსაჯი: გონელა (იტალია)

1980

22 ივნისი. რომი. „სტადიო ოლიმპიკო“

გფრ 2:1 ბელგია

1:0 ჰრუბეში (10), 1:1 ვანდერეიკენი (72პ), 2:1 ჰრუბეში (88)

გფრ: შუმახერი, კალცი, ფიორსტერი, შტილიკე, დიტცი, ბრიგელი (კულმანი 55), შუსტერი, ჰ. მიულერი, რუმენიგე, ჰრუბეში, ალოფსი

ბელგია: პფაფი, გერეტსი, მილეკამპსი, მეუვსი, რანკინი, კოოლსი, ვანდერეიკენი, ვან მური, მომენსი, ვან დერ ელსტი, კულემანსი

მსაჯი: რაინია (რუმინეთი)

1984

27 ივნისი. პარიზი. „პარკ დე პრენსი“

საფრანგეთი 2:0 ესპანეთი

1:0 პლატინი (57), 2:0 ბელონი (90)

საფრანგეთი: ბატსი, ბატისტონი (ამორო 46), ლე რუ, ბოსი, დომერგი, ფირესი, ტიგანა, ფერნანდესი, პლატინი, ლაკომბი, ჟენგინი (ბელონი 60)

ესპანეთი: არკონადა, ურკიაგა, სალვა (რობერტო 46), გალიეგო, სენიორი, ფრანსისკო, ვიქტორი, კამაჩო, ხულიო ალბერტო (სარაბია 74), სანტილიანა, კარასკო

მსაჯი: ხრისტოვი (ჩეხოსლოვაკია)

1988

25 ივნისი. მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი“

ჰოლანდია 2:0 სსრკ

1:0 გულიტი (33), 2:0 ვან ბასტენი (54)

ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, რ. კუმანი, რაიკარდი, ვან ტიგელენი, ვანენბურგი, ვოუტერსი, მიურენი, ე. კუმანი, გულიტი, ვან ბასტენი

სსრკ: დასაევი, ხიდიატულინი, დემიანენკო, ლიტოვჩენკო, ალეინიკოვი, ზავაროვი, გოცმანოვი (ბალტაჩა 69), მიხაილიჩენკო, რაცი, პროტასოვი (პასულკო 72), ბელანოვი

მსაჯი: ვოტრო (საფრანგეთი)

1992

26 ივნისი. გიოტებორგი. „ულევი“

დანია 2:0 გერმანია

1:0 იენსენი (18), 2:0 ვილფორტი (78)

დანია: შმაიხელი, სივებაკი (კრისტიანსენი 46), კ. ნილსენი, ლ. ოლსენი, პეხნიკი, კრისტოფტე, ჯ. იენსენი, ვილფორტი, ჰ. ლარსენი, პოულსენი, ბ. ლაუდრუპი

გერმანია: ილგნერი, როიტერი, ჰელმერი, კოლერი, ბუხვალდი, ბრემე, ჰესლერი, ზამერი (დოლი 46), ეფენბერგი (ტომი 65), რიდლე, კლინსმანი

მსაჯი: გალერი (შვეიცარია)



1996

30 ივნისი. ლონდონი. „უემბლი“

გერმანია 2:1დ.დ.(1:1) ჩეხეთი

0:1 ბერგერი (59პ), 1:1, 2:1 ბირჰოფი (73, 95 ოქროს გოლი)

გერმანია: კეპკე, ბაბელი, ჰელმერი, შტრუნცი, ზამერი, ჰესლერი, აილტსი (ბოდე 46), შოლი (ბირჰოფი 69), ციგე, კლინსმანი, კუნცი

ჩეხეთი: კოუბა, კადლეცი, ჰორნაკი, სუხოპარეკი, პობორსკი (შიცერი 88), რადა, ნედვედი, ბერგერი, ბეიბლი, ნემეცი, კუკა

მსაჯი: პაირეტო (იტალია)



2000

2 ივლისი. როტერდამი. „დე კუიპი“

საფრანგეთი 2:1დ.დ.(1:1) იტალია

0:1 დელვეკიო (55), 1:1 ვილტორდი (90), 2:1 ტრეზეგე (103 ოქროს გოლი)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ (პირესი 85), ვიეირა, დეშანი, ჯორკაეფი (ტრეზეგე 76), ზიდანი, დიუგარი (ვილტორდი 58), ანრი

იტალია: ტოლდო, კანავარო, ნესტა, იულიანო, პესოტო, ალბერტინი, დი ბიაჯო (ამბროზინი 66), მალდინი, ტოტი, ფიორე (დელ პიერო 53), დელვეკიო (მონტელა 86)

მსაჯი: ფრისკი (შვედეთი)

2004

4 ივლისი. ლისაბონი. „და ლუზი“

საბერძნეთი 1:0 პორტუგალია

1:0 ხარისტეასი (57)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კაპსისი, დელასი, ფიოსასი, იანაკოპულოსი (ვენეტიდისი 76), ზაგორაკისი, ბასინასი, კაცურანისი, ვრიზასი (პაპადოპულოსი 81), ხარისტეასი

პორტუგალია: რიკარდუ, მიგელი (ჰ. ფერეირა 43), რ. კარვალიუ, ჟ. ანდრადე, ნუნუ ვალენტე, კოშტინია (რუი კოშტა 60), მანიშე, დეკუ, ფიგუ, რონალდუ, პაულეტა (ნუნუ გომეში 74)

მსაჯი: მერკი (გერმანია)



მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვაზე
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

ფინალი. ხვალ

ესპანეთმა ლინეკერი დაინუნა

ფეხბურთს ორი გუნდი თამაშობს და... იგებს გერმანია?

„ერნსტ ჰაპელი", ვენა

გერმანია — ესპანეთი

სავარაუდო შემადგენლობები

გერმანია: ლემანი; ფრიდრიხი, მეცელდერი, მერტეზაკერი, ლამი; ბალაკი, ფრინგსი, შვაინშტაიგერი, ჰიცლშპერგერი; პოდოლსკი, კლოზე

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

ესპანეთი: კასილიასი; სერხიო რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილა; ინიესტა, სენა, ფაბრეგასი, ხავი, სილვა; ტორესი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

ფინალში მოკლე პასებით გასული ესპანეთის ქომაგებს ლუის არაგონესმა მოკლე და სამწუხარო ამბავი ამცნო: ჩემპიონატის ბომბარდირი დავიდ ვილია ხვალ ვერ ითამაშებს.

„ვალენსიას" ფორვარდმა ტურნირი ოთხი გოლით დაასრულა და ბურთი და მოედანი სამგოლიან ლუკაშ პოდოლსკის დაუთმო. ვილიამ რუსებთან პირველ ტაიმში ფეხი იტკინა, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ კუნთი დაეჭიმა.

რას იზამს ლუის არაგონესი? ვილიას ნაცვლად დანიელ გუისას დაყენებს სასტარტო შემადგენლობაში, თუ ხუთი ნახევარმცველით და ერთი ფორვარდით ითამაშებს?

მწვრთნელს გუშინ არ უთქვამს, თუ როგორ ტაქტიკას აირჩევს საფინალოდ, მაგრამ საეჭვოა, რომ ნაცადი 4-4-2 შეცვალოს.

თუმც არაგონესმა რუსთა ძლევის შემდეგ ესეც თქვა: „სანამ ორი ფორვარდით ვთამაშობდით, ნახევარდაცვაში ცოტა პრობლემები გვქონდა, მაგრამ როგორც კი ვილიას ნაცვლად ფაბრეგასი შევიდა, ჩვენი უპირატესობა მოედნის შუაში აშკარად გამოჩნდა. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში ერთი თავდამსხმელით თამაში ჯობდა. ეს, ალბათ, ჩემი გუნდის ყველაზე სრულყოფილი მატჩი იყო ამ ტურნირზე და ამის გაკეთება ნახევარფინალში, მერწმუნეთ, რომ იოლი არაა."

არაგონესისავე აზრით, გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოუყალიბდა: „ფაბრეგასს და სხვა ახალგაზრდებს ასაკთან შედარებით დიდი გამოცდილება აქვთ და მოგებებს გაუშინაურდნენ. მგონია, რომ ეს ნაკრები უკვე მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფავორიტია.

ნახევარფინალში გამარჯვება ხტუნვით არ აღმინიშნავს, მაგრამ პირველ რიგში ამ ბიჭების გამო მიხარია, რდგან ისინი ჩემპიონობას იმსახურებენ და იქმდე ერთი ნაბიჯი აშორებთ.

გერმანია ყველგან და ყოველთვის გერმანიაა და მუდამ ფავორიტია. არა მგონია, მათ ბურთის თავისუფლად გაგორების საშუალება მოგვცენ, მაგრამ თუ პასები ჩვენებურად წაგვივიდა, მერე გაუჭირდებათ. ფიზიკურად გერმანია ღონიერია, თუმც პასებით არაერთი მეტოქე დაგვიღლია.

როცა ჩემპიონატზე მოვემგზავრებოდით, ვგრძნობდი, რომ ძლიერი გუნდი მყავდა და ფინალში გავიდოდით. ახლა ერთი ურთულესი და მთავარი მატჩი დაგვრჩა".

იტალიასთან თამაშის წინ ესპანური მედია ფრთხილობდა და თავის ნაკრებს არ აქებდა, მაგრამ რუსთა დამარცხების შემდეგ ასეთი სათაურები გაჩნდა: „ეს არის გუნდი, რომელიც გარი ლინეკერის ფრაზას გადახაზავს" — დაწერა „ელ მუნდო დეპორტივომ", ლინეკერის ნათქვამი კი, ალბათ, გახსოვთ: „ფეხბურთს ორი გუნდი თამაშობს და... იგებს გერმანია".

„ელ პაისი": „დიდი ხნის განმავლობაში ამოვდიოდით ჭაობიდან და როგორც იქნა, ამოვედით. ახლა ესპანეთის ნაკრებმა იცის, თუ რა განასხვავებს სხვა გუნდებისგან".

„ასი": „ესპანეთმა ფეხბურთი ხელოვნებად აქცია".

აი, ასეთი ამბებია ესპანეთის ნაკრების გარშემო და ეს გასაგებიცაა, რადგან გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ხომ არასოდეს გასულა და ევროპის ჩემპიონატის ფინალიც სანატრელი გაუხდა 1984 წლის შემდეგ.

„ძალია გვინდოდა ფინალში თამაში — თქვა ანდრეს ინიესტამ — მთელმა ნაკრებმა, როგორც ერთმა, ისე იშრომა და რაკი აქამდე შემოვტოპეთ, გამარჯვების დიდად მეიმედება".

„ამ გუნდში უაღრესად ნიჭიერი ბიჭები არიან და როცა მათ თამაში კარგად მისდით, ნებისმიერ მეტოქეს აჯობებენ. ყველანი განვიცდით დავიდ ვილიას ტრავმას, მაგრამ თითოეული ჩვენთაგანი მისი სახელითაც იბრძოლებს" — განაცხადა იკერ კასილიასმა.

„ყველამ ნახა, როგორია ესპანეთი მეტოქის ნახევარზე — თქვა ხავიმ — ფინალში ყოველდღე ვერ გახვალ, კლუბი იქნება თუ ნაკრები. გერმანელებს ძალიან ძლიერი, თავდაჯერებული და გამოცდილი ფებურთელები ჰყავთ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენ მზად ვართ ტოლსწორად ვეთამაშოთ".

გერმანელთა თავკაცმა იოახიმ ლიოვმა კი რუსეთ-ესპანეთის მატჩამდე თქვა, ჩემთვის სულ ერთია ვის შევხვდებით, რადგან ფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობსო.

მწვრთნელს დაეთანხმა მიროსლავ კლოსეც: „საქმე ასარჩევად არ გვაქვს. ჩემთვის მთავარი შინ ტრიუმფით დაბრუნებაა. მწვერვალს მივუახლოვდით და ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩა.".

„რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მსვლელობისას მთლად სტაბილურები ვერ ვიყავით, მაგრამ ჰოლანდიის, ხორვატიის და პორტუგალიის ძლიერმა ნაკრებებმა ვერ შეძლეს აუცილებლად მოსაგებ მატჩებში გამარჯვება, ჩვენ კი გვჯეროდა საკუთარი თავის და ფინალამდე ამ რწმენით მოვედით — ბრძანა გუშინ ლიოვმა — ფინალში გასვლა ჩემთვის უკვე დიდი გამოცდილების შეძენას ნიშნავს.

გერმანიის ნაკრები კონფედერაციის თასის (2005) და მსოფლიოს ჩემპიონატის (2006) ნახევარფინალში დამარცხდა. ამჯერად ეს ბარიერი გადავლახეთ და ეს უკვე განსაკუთრებული ამბავია. შედეგად, ფეხბურთელებსაც ფსიქოლოგიური ტვირთი მოეხსნათ.

ესპანელებს შთამბეჭდავი გუნდი ჰყავთ. ისინი მატჩიდან მატჩამდე უმატებენ. ბევრად უფრო მოქნილი ნაკრებია, ვიდრე პორტუგალია. ნახევარმცველები ხშირად იცვლიან პოზიციებს და ყველა ტექნიკურია".

იოახიმ ლიოვი ალბათ ისევ 4-2-3-1 სქემით ითამაშებს, რამაც პორტუგალიასთანაც გაამართლა და თურქეთთანაც. ტრავმირებული საიმონ როლფსის ადგილს, სავარაუდოდ, ტორსტენ ფრინგსი დაიკავებს.

გერმანია და ესპანეთი ერთმანეთს 19-ჯერ შეხვედრიან. რვა თამაში ბუნდესნაკრებმა მოიგო, ხუთი ესპანეთმა და ექვსიც ფრე გამოვიდა.

ბოლო მატჩი 2003 წელს მალიორკაზე გაიმართა და მასპინძლებმა ამხანაგურში 3:1 იმარჯვეს.

ოფიციალურ მატჩებში კი მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შემდეგ ამ გუნდების გზები დიდ ტურნირზე არ გადაკვეთილა. მაშინ, ჯგუფური ეტაპის შეხვედრა ჩიკაგოში 1:1 დასრულდა.

ვაჟა ხუციშვილი

ლუის არაგონესი



იოახიმ ლიოვი

გზა ფინალამდე

გერმანია

გერმანია 2:0 პოლონეთი
1:0, 2:0 პოდოლსკი (20, 72)

ხორვატია 2:1 გერმანია
1:0 სრნა (24), 2:0 ოლიჩი (62), 2:1 პოდოლსკი (79)

ავსტრია 0:1 გერმანია
0:1 ბალაკი (49)

პორტუგალია 2:3 გერმანია
0:1 შვაინშტაიგერი (22), 0:2 კლოზე (26), 1:2 ნუნუ გომეში (40), 1:3 ბალაკი (61), 2:3 ელდერ პოშტიგა (87)

გერმანია 3:2 თურქეთი
0:1 ულურ ბორალი (22), 1:1 შვაინშტაიგერი (26), 2:1 კლოზე (79), 2:2 სემიჰი (86), 3:2 ლამი (90)

ესპანეთი

ესპანეთი 4:1 რუსეთი
1:0, 2:0, 3:0 ვილია (20, 44, 75), 3:1 პავლიუჩენკო (86), 4:1 ფაბრეგასი (90)

შვედეთი 1:2 ესპანეთი
0:1 ტორესი (15), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (34), 1:2 ვილია (90)

საბერძნეთი 1:2 ესპანეთი
1:0 ხარისტეასი (42), 1:1 დე ლა რედი (61), 1:2 გუისა (88)

ესპანეთი 0:0 დ.დ. (4:2პ) იტალია

ესპანეთი 3:0 რუსეთი
1:0 ხავი (50), 2:0 გუისა (73), 3:0 სილვა (82)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, გის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

ნორვეგია. ტიპელიგა

28 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	478	ლინი-ვიკინგი	2.25	3.40	2.90	1.35	1.26	1.56
20:00	480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	2.35	3.40	2.75	1.38	1.26	1.52
20:00	482	ჰამ კამი-ბრანი	3.35	3.40	2.00	1.68	1.25	1.25
22:00	483	ალესუნდი-მოლდე	2.35	3.40	2.75	1.38	1.26	1.52
20:00	484	სტაბეკი-ტრომსიო	1.60	3.70	5.10	1.11	1.21	2.14

30 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	2.25	3.40	2.90	1.35	1.26	1.56

ნორვეგია. I დივიზიონი

28 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	492	ბრინი-სტარტი	2.55	3.40	2.50	1.45	1.26	1.44

29 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	485	მოსი-ალტა	1.35	4.40	7.50	1.03	1.14	2.77
20:00	486	ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი	4.40	3.70	1.70	2.00	1.22	1.16
20:00	487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	2.10	3.40	3.10	1.29	1.25	1.62
20:00	488	სანდნესი-სპარტა ს	2.15	3.40	2.90	1.31	1.23	1.56
20:00	489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	1.70	3.60	4.30	1.15	1.21	1.95
20:00	490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	2.35	3.40	2.60	1.38	1.23	1.47
20:00	491	ნოტოდენი-ჰიოდი	1.60	3.70	5.00	1.11	1.21	2.12

შვედეთი. სუპერეტა

28 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	352	ასირისკა-ლანდსკრონა	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60

ბრაზილია. ჩემპიონატი

29 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
01:10	624	ვასკუ და გამა-იპატინგა	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
01:10	625	პორტუგესა-სანტოსი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
01:15	626	ვიტორია-გოიასი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
23:00	627	ფიგეირენსე-ატლეტიკო მნ	1.95	3.20	3.65	1.21	1.27	1.70
23:00	628	სპორტ რისიფე-ფლამენგო	2.65	3.20	2.40	1.44	1.25	1.37
23:00	629	კრუზეირო-სან პაულუ	2.35	3.20	2.85	1.35	1.28	1.50
23:00	630	ატლეტიკო პრ-კურიტიბა	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96

30 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
01:10	631	გრემიო-ინტერნასიონალი	1.85	3.50	3.80	1.21	1.24	1.82
01:15	632	პალმეირასი-ნაუტიკო	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87

FIFA. მჩ 2010 შესარჩევი მატჩები

28 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:30	702	გაბონი-ლესოტო	1.25	4.70	8.80	1.00	1.09	3.06

UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008

29 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	31	გერმანია-ესპანეთი	3.20	3.00	2.40	1.54	1.37	1.33

ირლანდია. პრემიერ დივიზიონი

28 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	616	კობი-სლიგო	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35

იაპონია

28 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	703	კაშივა-ურავა	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23
14:00	704	იოკოჰამა ფმ-ივატა	1.70	3.30	4.00	1.12	1.19	1.80
14:00	705	ნაგოია-კაშიმა	2.30	3.10	2.60	1.32	1.22	1.41
14:00	706	ოიტა-კობე	2.00	3.20	3.10	1.23	1.21	1.57
14:00	707	ტოკიო-იჩიჰარა	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
14:00	708	გამბა-საპორო	1.40	3.90	6.75	1.03	1.15	2.47

UEFA. ინტერტოტს თასი

28 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:30	690	რილი-ბოჰემიანსი	3.30	3.40	1.90	1.67	1.20	1.21
15:30	691	ტრანს ნარვა-ეკრანასი	3.55	3.35	1.85	1.72	1.21	1.19
17:00	694	ნიტრა-ნეფჩი	1.60	3.60	4.00	1.10	1.14	1.89
17:00	695	რენოვა-რიეკა	3.00	3.35	2.05	1.58	1.21	1.27
19:00	697	ჰონვედი-ჟიტისუ	1.50	3.70	5.00	1.06	1.15	2.12
20:00	698	ნოვა გორიცა-ჰიბერნიანსი	1.15	5.50	11.05	1.00	1.04	3.67

29 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:00	699	შახტიორი ს-კრაკოვია	1.90	3.35	3.20	1.21	1.19	1.63

შვედეთი. თასი

28 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:30	685	მალმიო-ჰამარბი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
18:00	686	გიოტებორგი-ლიუნგსკილე	1.40	3.90	7.00	1.03	1.16	2.50
18:00	687	ენჩიოპინგი-სირიუსი	2.25	3.30	2.80	1.33	1.24	1.51
18:00	688	კალმარი-დეგერფორსი	1.20	5.90	11.00	1.00	1.08	3.84

ფრენბურთი. კაცები

მსოფლიო ლიგა

28 ივნისი

10:00	678	იაპონია-პოლონეთი.	2.20	1.50
16:00	679	ჩინეთი-ეგვიპტე.	1.15	3.80

29 ივნისი

01:30	680	ვენესუელა-ბრაზილია.	6.00	1.10

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10482	ჰამ კამი-ბრანი	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10483	ალესუნდი-მოლდე	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10484	სტაბეკი-ტრომსიო	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10492	ბრინი-სტარტი	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10031	გერმანია-ესპანეთი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10485	მოსი-ალტა	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10486	ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი	4.80	2.10	2.10	1.46	1.46	1.04
10487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10488	სანდნესი-სპარტა ს	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10491	ნოტოდენი-ჰიოდი	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	3.00	2.80	2.00
15482	ჰამ კამი-ბრანი	3.00	2.80	2.00
15483	ალესუნდი-მოლდე	3.00	2.80	2.00
15484	სტაბეკი-ტრომსიო	3.00	2.80	2.00
15492	ბრინი-სტარტი	3.00	2.80	2.00
15031	გერმანია-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15485	მოსი-ალტა	3.00	2.80	2.00
15486	ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი	3.00	2.80	2.00
15487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	3.00	2.80	2.00
15488	სანდნესი-სპარტა ს	3.00	2.80	2.00
15489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	3.00	2.80	2.00
15490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	3.00	2.80	2.00
15491	ნოტოდენი-ჰიოდი	3.00	2.80	2.00
15479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	3.00	2.80	2.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11482	ჰამ კამი-ბრანი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11483	ალესუნდი-მოლდე	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11484	სტაბეკი-ტრომსიო	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11492	ბრინი-სტარტი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11031	გერმანია-ესპანეთი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11485	მოსი-ალტა	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11486	ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11488	სანდნესი-სპარტა ს	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11491	ნოტოდენი-ჰიოდი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	1.65	2.05
16482	ჰამ კამი-ბრანი	2.40	1.45
16483	ალესუნდი-მოლდე	1.65	2.05
16484	სტაბეკი-ტრომსიო	1.22	3.40
16492	ბრინი-სტარტი	1.80	1.85
16031	გერმანია-ესპანეთი	2.10	1.60
16485	მოსი-ალტა	1.10	5.50
16486	ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი	3.00	1.30
16487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	1.50	2.30
16488	სანდნესი-სპარტა ს	1.52	2.20
16489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	1.24	3.60
16490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	1.65	2.05
16491	ნოტოდენი-ჰიოდი	1.22	3.40
16479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	1.58	2.10

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

17480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	1.85	1.95
17482	ჰამ კამი-ბრანი	1.85	1.95
17483	ალესუნდი-მოლდე	1.85	1.95
17484	სტაბეკი-ტრომსიო	1.85	1.95
17492	ბრინი-სტარტი	1.85	1.95
17031	გერმანია-ესპანეთი	1.85	1.95
17485	მოსი-ალტა	1.85	1.95
17486	ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი	1.85	1.95
17487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	1.85	1.95
17488	სანდნესი-სპარტა ს	1.85	1.95
17489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	1.85	1.95
17490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	1.85	1.95
17491	ნოტოდენი-ჰიოდი	1.85	1.95
17479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	1.80	2.00
14482	ჰამ კამი-ბრანი	2.20	1.70
14483	ალესუნდი-მოლდე	1.80	2.00
14484	სტაბეკი-ტრომსიო	1.30	2.50
14492	ბრინი-სტარტი	1.95	1.85
14031	გერმანია-ესპანეთი	2.00	1.80
14485	მოსი-ალტა	1.20	2.60
14486	ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი	2.40	1.45
14487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	1.75	2.10
14488	სანდნესი-სპარტა ს	1.75	2.10
14489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	1.45	2.40
14490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	1.80	2.00
14491	ნოტოდენი-ჰიოდი	1.30	2.50
14479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	1.80	2.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12478	ლინი-ვიკინგი	2,5	2.00	1.60
12480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	2,5	1.80	1.70
12482	ჰამ კამი-ბრანი	2,5	2.00	1.60
12483	ალესუნდი-მოლდე	2,5	2.00	1.60
12484	სტაბეკი-ტრომსიო	2,5	1.90	1.70
12492	ბრინი-სტარტი	2,5	2.10	1.60
12485	მოსი-ალტა	2,5	2.40	1.35
12486	ნიბერგსუნდი-ოდ გრენლანდი	2,5	2.20	1.45
12487	ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი	2,5	2.00	1.60
12488	სანდნესი-სპარტა ს	2,5	1.90	1.70
12489	სანდეფიორდი-კონგსვინგერი	2,5	2.00	1.60
12490	სოგნდალი-ჰიონეფოსი	2,5	1.80	1.80
12479	ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	2,5	1.90	1.70

ცუდი გუნდის კარგი მოთამაშე

რუსია ნაკრებში პერსპექტივას ხედავს



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები იტალიაში გასამართი მსოფლიოს სტუდენტური ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. თბილისშია, მაგრამ ბიჭებთან ერთად ტრამვის გამო ვერ ვარჯიშობდა ვლადიმერ რუსია, ვინც ბელარუსში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ქართველთაგან გამორჩეული იყო — ყველაზე მეტი, 16 გოლი გაიტანა და საუკეთესო გარემარბადაც დაასახელეს. ვოვას არც ბუქარესტის „დინამოში" ჰქონია ცუდი სეზონი, განსაკუთრებით მეორე წრეში ყოჩაღობდა, მაგრამ მისი გუნდი იმდენად უსუსურად გამოვიდა წლევანდელ სეზონში, რომ რუსიას კარგი თამაში აღარც გამოჩნდა. ყოველთვის ჩემპიონობისთვის მომართულმა „დინამომ" თავისთვის შეუფერებელი მე-9 ადგილი დაიკავა და გუნდის ხელმძღვანელობა სერიოზულ ცვლილებებს აპირებს. ვოვას კი გუშინ ნაკრების ვარჯიშამდე გავესაუბრეთ, მას უკვე მისცეს ექიმებმა დატვირთვის უფლება და რუსიაც ბიჭებს შეუერთდა. მანამდე კი ეს ინტერვიუც ჩავიწერეთ...

— რუმინეთის ჩემპიონატში მეორე წრე გაცილებით უკეთ ვითამაშე. მართალია, ჩემი თავით კმაყოფილი არასდროს ვარ და თავს ყოველთვის მაქსიმუმს ვთხოვ, მაგრამ პირველ წრესთან შედარებით მართლაც საგრძნობლად მოვუმატე, შეუცვლელი მოთამაშე გავხვდი და გოლებიც გამქონდა. ეს, ალბათ მაინც იმის გამო მოხდა, რომ თავიდან გუნდი შეუთამაშებელი იყო, ერთმანეთს კარგად ვერ ვუგებდით. მერე და მერე დავლაგდით და მოგებებიც დავიწყეთ, მაგრამ თუ ძლიერ მეტოქეებს ვამარცხებდით, სამაგიეროდ, სუსტებთან არაფერი არ გამოგვდიოდა, მნიშვნელოვან ქულებს ვკარგავდით, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა ის, რომ მე-9 ადგილზე გავედით.

— როგორ ფიქრობ, რა იყო ასეთი ჩავარდნის მიზეზი?

— ახალი გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს და 9 თუ 10 მოთამაშე მოიყვანეს სეზონის წინ. რა გასაკვირია, რომ გუნდს თამაში არ წაუვიდა, ბიჭები ერთმანეთს ვერ უგებდნენ. დრო იყო საჭირო, რომ შევთამაშებულიყავით. მეც, როგორც უკვე ვთქვი, მეორე წრეში მოვუმატე და თამაშში ასე 5-6 გოლიც გამქონდა.

— ცუდი სეზონის მერე წასვლაზე ხომ არ დაფიქრდი, შემოთავაზებები თუ გქონდა?

— კი იყო, ესპანური, მაკედონიური და უკრაინული ვარიანტები. ისე, უკრაინულს არც ვთვლი, იქ უკვე ვითამაშე. თუმცა „ბუქარესტში" ვრჩები, კონტრაქტით კიდევ ერთი წელი მაქვს დარჩენილი და მერე ვნახოთ, რას შემომთავაზებენ. ახლა ძნელია იმის თქმა, დავრჩები თუ წავალ კონტრაქტის ამოწურვის მერე. ისე კი, რუმინეთის ჩემპიონატის დონე საგრძნობლად გაიზარდა და იქ თამაში ცუდი არაა. ლეგიონერებიც ბევრნი თამაშობენ, თან მომავალ სეზონში უკვე ორი ქართველი ვიქნებით იქაურ ლიგაში — შოთა თევზაძე ხომ „ბაკაუში" გადავიდა. სხვათა შორის, „დინამოს" უნდოდა მისი დამატება, თუმც მერე რა მოხდა, არ ვიცი.

— ნაკრებზეც ვთქვათ. ბელარუსის საერთაშორისო ტურნირზე კარგად ითამაშე. როგორ შეაფასებ ნაკრების გამოსვლას?

— არ მეგონა, თუ ბელარუსთან ასე კარგად ვითამაშებდით. მართლა ძლიერი ნაკრები ჰყავთ. იანვარში ევროპის ჩემპიონატზე ნათამაშები ხელბურთელებიდან ბევრი დაგვიპირისპირდა. ჩვენ ცოტა არეულები და შეუთამაშებლები ვიყავით, მთლიანობაში კი მაინც კმაყოფილი ვარ. ლიტვასთანაც ბოლომდე ვიბრძოლეთ. ახალგაზრდებმა გამოცდილება მიიღეს. პერსპექტიული ბიჭები არიან და მომავალში კიდევ მოუმატებენ. სამწუხაროდ, აკაკი ტალახაძემ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ვეღარ დაგვეხმარა, არც დათუკაშვილი იყო, თორემ უკეთაც შეგვეძლო თამაში.

— მოახლოებულ სტუდენტურ ჩემპიონატზე რას იტყვი?

— აზერბაიჯანს კარგად ვიცნობთ. ძლიერი არაა, თუმც მაინც სერიოზულად უნდა მივუდგეთ საქმეს. იაპონელებს წინა სტუდენტურ ჩემპიონატზე ვეთამაშეთ ნახევარფინალში და საკმაოდ სოლიდური ნაკრებია. დაუღლელები არიან, ბევრს მოძრაობენ. სერბეთი კი თავისთავად ძლიერია. ჩვენც ჩვენსას ვეცდებით და ვნახოთ, რა გამოვა.

ლექსო მაისურაძე

აირჩევს ხელბურთი ზაურ ცხადაძეს?

ხვალ 12 საათზე სპორტის დეპარტამენტში ხელბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება და სახელბურთო თემი ახალ პრეზიდენტს აირჩევს. პრეზიდენტობის მსურველი ერთი კანდიდატია — ცნობილი მკლავჭიდელი ზაურ ცხადაძე. არჩევნების ბედს 18 ხმოსანი სუბიექტი გადაწყვეტს. ცხადაძე პრეზიდენტი იმ შემთხთვევაში გახდება, თუ მას ორი მესამედი მხარდამჭერი გამოუჩნდება.

შეგახსენებთ, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საკითხი დღის წესრიგში მას მერე დადგა, რაც ყოფილი პრეზიდენტი თამაზ თევზაძე თანამდებობიდან გადადგა. 29 ივნისის არჩევნებზე კი წესით ყველაფერი მარტივად უნდა იყოს, ცხადაძეს საჭირო ხმების დაგროვება, არ უნდა გაუჭირდეს, რაკიღა მთავრობიდანაც აქვს მხარდაჭერა.

ცხადაძე ამჟამად ბიზნესითაა დაკავებული და სურს, რომ ქართული ხელბურთი კრიზისიდან გამოიყვანოს. ბუნებრივია, ფინანსური თანადგომა ხებურთს ძალიან სჭირდება, თუმც ადრეც გვეწერა და კიდევ გავიმეორებთ, მთავარი პრობლემა ის დაპირისპირებაა, რაც ქართველ ხელბურთში არსებობს. ამ პრობლემის მოგვარების გარეშე რაიმე წარმატების მიღწევა ძალზედ გაჭირდება. ვნახოთ, 29 ივნისიდან ჩვენს ხელბურთს ახალი თავკაცი ეყოლება...

ლექსო მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო U-18 81:61 უკრაინა U-18
23:19 19:20 25:7 14:15
საქართველო: თავართქილაძე (2), ჩაჩიბაია (12), მეტრეველი (20), ტომარაძე (18), ჩიკვილაძე (15), ჯგერენაია (7), ნანიტაშვილი (3), ძიძიგური (2), მაისურაძე (2)

უკრაინამ წააგო და მოგვიბოდიშა

მიხეილ კობეშავიძე

„ჭაბუკთა ეს ნაკრები ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ასაკობრივი გუნდია, პოტენციალი არ გვაკლია და ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული" — თქვა 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა მიხეილ კობეშავიძემ უკრაინასთან გუშინ მოგებული მატჩის შემდეგ.

ძნელია, ამ სიტყვებს არ დაეთანხმო. ჩვენი 18-წლამდელები 2 ლიდერის გარეშე დაუხვდნენ თბილისში სასპარინგოდ ჩამოსულ A დივიზიონის ბინადარ უკრაინელ თანატოლებს და გუშინწინ ბრძოლაში მოგელი მატჩის შემდეგ, გუშინ სლავები ერთი ხელის გაქნევით დაამარცხეს. პირველი, რაც ჩვენს 18-წლამდელებს სჭირდებათ, გამოცდილების დაგროვება და შეთამაშებაა, ისინი ხომ ახლახან შეიკრიბნენ პირველად და ამ შემადგენლობით სადებიუტო მატჩებს მართავენ.

ხუთშაბათს კობეშავიძის გუნდს ერთობ გაუჭირდა, უკრაინა დაძაბულ ბრძოლაში, 5 ქულით დაამარცხა, აი, გუშინ კი მოედანზე სულ სხვაგვარად, უფრო „ჰაეროვნად" და გააზრებულად მოთამაშე ნაკრები ვიხილეთ. ქართველებს მხოლოდ დასაწყისში გაუჭირდათ, როცა უკრაინელები ზონაში იყენენ გამაგრებულნი და საკუთარ სკარიმოში ჩვენებს იშვიათად უშვებდნენ. თუმცა კობეშავიძის ბიჭებმა მეტოქის ამგვარ ტაქტიკას შორი სროლები დაუპირისპირეს და ჩიკვილაძის, ჩაჩიბაიასა და ტომარაძის სამქულიანებით უკრაინელთა ზონას ეფექტი დაუკარგეს.

პირველი ტაიმი ქართველებმა 42:39 მოიგეს, თუმცა წინა მატჩის დარად დიდი შესვენების შემდეგ აბობოქრდნენ და მეტოქეს საქმე 5 წუთში მოუთავეს. ხუთშაბათის მატჩის მესამე მეოთხედის საწყისი 7 წუთი ქართველებმა 16:0 მოუგეს უკრაინელებს და გუშინ სტუმრეს ამაზე უარესი დრე დააწიეს. ნიკა მეტრეველის, კოკა ტომარაძის, ტატო ჩაჩინაიასა და ირაკლი ჯგერენაიას ჩაუქობით ჩვენებმა მესამე ათწუთეულის ნახევარი 17:0 მოიგეს, ხოლო ამ წმინდა „ქართულ" პერიოდში 22:1 (!) იძალეს და უკრაინელებს მოგებაზე ფიქრიც დაავიწყეს.

ნამატჩევს ბოდიშს იხდიდა უკრაინელთა მწვრთნელი ოლეგ რუბინი, ვერ გამოვდექით თქვენთვის საკადრისი სპარინგ-პარტნიორებიო.

„თქვენ მართლაც საუცხოო გუნდი გყავთ. ბიჭები დაფრინავენ და რაც მთავარია, ყველას ეტყობა, რომ საქართველოს გერბიანი მაისურით თამაში მათ სიამაყეს, დამატებით სტიმულს ანიჭებს. ეს პატრიოტული განხდა საერთოდ არ ეტყობათ ჩვენს კალათბურთელებს, მათ ვერ გაითავისეს, რომ საკუთარი ქვეყნის ღირსებას იცავენ და ასეთი ზერელე დამოკიდებულება არ შეიძლება. მართალია, 2 კვირის შეკრებილები ვართ, მაგრამ ეს არ გვაძლევს თავის გამართლების საშუალებას. ბოდიშს ვუხდი საქართველოს ნაკრებს, რომ მათ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ მისთვის ასე მნიშვნელოვან მოსამზადებელ ეტაპზე."

მიხეილ კობეშავიძე: „უკრაინის ამ შემადგენლობის ბირთვმა 2 წლის წინ კადეტთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 25 ქულით მოგვიგო და ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ვარ, დღეს ასე იოლად რომ ვიმარჯვეთ. დარწმუნებული ვარ, უკრაინელები ევროპის ჩემპიონატზე, A დივიზიონში 3-4 მატჩს მოიგებენ და ელიტაში ადგილს იოლად შეინარჩუნებენ. უბრალოდ, ახლა ისინი ახალი შეკრებილები არიან და ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი აკლია. ჩვენი გუნდის თამაშით კი კმაყოფილი ვარ იმდენად, რამდენადაც ეს იყო მხოლოდ მეორე მატჩი და თან ორი წამყვანი კალათბურთელიც გვაკლია. თორნიკე შენგელია და გიორგი შარაბიძე თბილისში ივლისის დასაწყისში ჩამოვლენ და მერე სავარაუდოდ უფრო უკეთესად ავთამაშდებით. ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობთ, რომ როგორმე დაცვაში თამაში გამოვაკეთოთ. რა თქმა უნდა, ხარვეზები ყველა რგოლში გვაქვს, მაგრამ თუკი დაცვას გამოვასწორებთ, დამარჩენ წვრილმანებსაც იოლად ეშველება. უკრაინელებთან პირველი მატჩისგან განსხვავებით დღეს გაცილებით უკეთ ვითამაშეთ."

ირაკლი პერტაია

კლდე ჟურნალისტებისთვის

დღეს კუს ტბაზე „კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი" და „თბილისის მთამსვლელთა და მეკლდეურთა კლუბი" გამართავს შეჯიბრებას ხელოვნურ კლდეზე ცოცვაში ჟურნალისტებს შორის. ექსტრემალები ერთმანეთს მოძრაობის თეატრის საცოც კლდეზე შეეჯიბრებიან.

მონაწილენი გუნდებად არიან დაყოფილნი. თითო გუნდში აუცილებლად ორი კაცი და ერთიც ქალი უნდა იყოს. ტურნირს კვალიფიციური ინსტრუქტორები მოემსახურებიან. მათ გუშინ ჟურნალისტი მეკლდეურები უკვე ავარჯიშეს.

შეჯიბრების შემდეგ ჩემპიონ-პრიზიორები დასაჩუქრდებიან და ბოლოს „კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი" წარმოდგენას გამართავს.

ზურაბ მიგრიაული

DRAFT NY 08 ვაჭრობა, ნაცნობობა, ტყუპები

ნბა-მ კარი გაუღო 50 ამერიკელს და 10 ევროპელს

ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი და დრაფტის პირველი ნომერი დერიკ როუზი

26 ივნისის საღამოს ნიუ იორკში, ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენში" ნბა-მ ტრადიციულ ყოველწლიურ დრაფტს უმასპინძლა და სტუდენტურ ჩემპიონატსა თუ სხვა ლიგებში მომწიფებული 60 მოთამაშე 30-მა გუნდმა დაინაწილა.

პირველი არჩევანის გაკეთების უფლება „ჩიკაგო ბულზს" ჰქონდა და „ხარების" ხელმძღვანელები ბოლო მომენტამდე თავს იტეხდნენ, მემფისის უნივერსიტეტის გამთამაშებელი დერიკ როუზი აეყვანათ, თუ კანზასელი მძიმე ფორვარდი მაიკლ ბისლი. ისევ პირველი ირჩიეს, რადგან ბისლი მეფარის კვალობაზე დაბალ მოთამაშედ მიიჩნიეს. თანაც როუზი უკვე 19 წლისა, სტუდენტურ ჩემპიონატში გატარებულ პირველივე სეზონში გახდა ჩემპიონი და ესეც წონას სძენს მის სახელს.

„ცოტა კი ვნერვიულობდი, სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდოდა პირველი ნომერი გავმხდარიყავი და დევიდ შტერნმა ჩემი სახელი რომ გამოაცხადა, მაშინღა დავმშვიდდი" — ამბობდა ემოციებით დაღლილი როუზი.

როგორც ჩანს, „ჩიკაგო" ამ ჯეელს ძირითად გამთამაშებლად მოიაზრებს ბოლო სეზონის ჩამგდები კირკ ჰაინრიხის ადგილზე. სხვათა შორის, როუზი ალენ აივერსონის (1996) შემდეგ გახდა პირველი უკანახაზელი, რომელიც პირველ ნომრად აირჩიეს. როგორც წესი, დრაფტზე მაღალ მოთამაშეებს უფრო ეტანებიან და დაბლებს მერეღა ამჩნევენ, როცა კარგი მაღლები შეცოტავდებიან. ამ დრაფტზე, პირიქით, უკანახაზელებზე იყო დიდი მოთხოვნილება.

ბისლი კი მეორე არჩევანის მქონე „მაიამმ" დაიტაცა და ფრიად კმაყოფილიც დარჩა, რადგან როუზის ამპლუაში დუეინ ვეიდი ჰყავს. და ფორვარდი უფრო სჭირდებოდა. დიახ, ბისლი არც ისე მაღალია, როგორც ნბა-ს ბევრი მძიმე ფორვარდი (გარნეტი, დანკანი, ნოვიცკი, ბოში, ყველა 210 სანტიმეტრს აცილებულები არიან), მაგრამ მას ზურგს უმაგრებს ბრწყინვალე „სტუდენტური" სტატისტიკა — 26,2 ქულა და 12,4 მოხსნა. აქედანაც ჩანს, რომ ფარქვეშეთში ის თავს ჭიანჭველად არ გრძნობს.

შემდეგ რამდენიმე წუთში მოხდა ის, რაც დრაფტს ბაზრის ელფერს ანიჭებს. „მინესოტამ" მესამე ნომრად 20 წლის მსროლელი ოჯეი მაიო აიყვანა, მეხუთე არჩევნის მქონე „მემფისმა" კი ფორვარდ კევინ ლავს დაადო ხელი, მაგრამ ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ორმა გუნდმა ერთმანეთში ვაჭრობა გააჩაღა და ხმაურიანი გაცვლაც გაჩარხა — „მინესოტამ" „მემფისისგან" მიიღო ახალბედა კევინ ლავი და ზედაც სამი გამოცდილი მოთამაშე — მაიკ მილერი, ბრაიან კრადინდი და ჯეისონ კოლინზი. „მემფისს" კი მაიოს გარდა ერგო ანტუან უოლკერი (სამგზის ოლსტარელი), მარკო იარიჩი და გრეგ ბაკნერი.

გაჩარხა კიდევ რამდენიმე გაცვლა თვითონ დრაფტის მსვლელობისას. მე-13 არჩევანის მქონე „პორტლენდს" სული მისდიოდა არიზონელ გამთამაშებელ ჯერიდ ბეილისზე, მაგრამ მე-11 არჩევანის მქონე „ინდიანამ" დაასწრო. „პორტლენდმაც" მას მე-13 ნომრად არჩეულ ბრენდონ რაშთან ერთად გამოცდილი გამთამაშებელი ჯარედ ჯეკი შეაძლია და ასე მოიხელთა ეს ბეილისი.

კიდევ ერთი კარგი უკანახაზელი, უკლა-ს პირველწლიანი სტუდენტი რასელ ვესტბრუკი „სიეტლმა" ითრია იმ იმედით, რომ ახალწვეული რამდენიმე წელში მძლავრ დუეტს შექმნის შარშან ნადრაფტალ და სეზონის საუკეთესო ახალბედად დასახელებულ კევინ დურანტთან ერთად.

მეხუთე ნომრის ამბავი ზემოთ მოგახსენეთ, მეექვსე ნომერი კი გახდა იტალიელი დალინო გალინარი, რომელიც ამ დრაფტზე არჩეულ 10 ევროპელში ყველაზე ადრეულად შენიშნეს. იტალიელი „ნიუ იორკმა" დაისაკუთრა და გუნდის ქომაგები კლუბის შეფების ამ გადაწყვეტილებას უკმაყოფილო ბუუთი" შეხვდნენ. „ნიუ იორკს" ხომ სულ ახლახან „ფინიქსიდან" გამოშვებული მაიკ დანტონი ჩაუდგა სათავეში, რომელიც ოდესღაც გალინარის მამასთან ერთად იტალიაში თამაშობდა და ცხადია, ეს ამბავი არ დაიმალა. შეიძლება ითქვას, დანტონის გუნდში პირველი ახალწვეული ნაცნობობით მოხვდა.

მთავარი „საქონელი" გასაღებული იყო და ფართო საზოგადოებას, ძირითადად, იმის ინტერესი ჰკლავდა, სად მოხვდებოდნენ სტენფორდელი ტყუპები — ბრუკ და რობინ ლოპესები. ორივე 213-სანტიმეტრიანია. და ორივე ვარსკვლავობდა სტუდენტურ ლიგაში, მაგრამ ბრუკი უფრო ნიჭიერად ითვლებოდა და მე-10 არჩევნის მქონე „ნიუ ჯერსის" შეხვდა. ასარჩევთა გრძელ სკამზე რობინ ლოპესმა ცოტა ცმუკვა კი დაიწყო, მაგრამ მალე ისიც შეამჩნიეს — მე-15 არჩევნის მქონე „ფინიქსმა" ირგუნა, რათა ბებერი შაკილ ონილის სათადარიგოდ გამოზარდოს. სათქმელია, რომ „ფინიქსს" ეს არჩევანი „ატლანტასგან" შეხვდა. ჩვენებური ზაზა ფაჩულიას გუნდი ბოლო დრაფტებზე ძალიან აქტიურობდა, მაგრამ წლეულს ჩრდილში მოექცა — პირველ წრეში არჩევანის გაკეთების უფლება ადრევე დაუთმო „ფინიქსს", ხოლო მეორე წრეში „საკრამენტოს" და თავად ამ დრაფტიდან ერთი უხეირო სათადარიგოც კი არ შეხვდა.

სხვა ვისი გამორჩევა შეიძლება? მაგალითად, ფრანგი ალექსის აჯინგასი, ვისთან ერთადაც ჩვენებური გიორგი შერმადინი საერთაშორისო კემპებზე გამოდიოდა. ფრანგი ცენტრი პირველ წრეში მე-20 ნომრად ირგუნა „შარლოტმა" და მას შემდეგ 40 არჩეულში კიდევ რვა გამოდგა ევროპელი. მოხვდებოდა თუ ვერა მათ შორის შერმადინი? ახლა ძნელია ამის გარკვევა. ყოველ შემთხვევაში, გიორგი ალბათ მომავალი წლის დრაფტში მიიღებს მონაწილეობას და მაღალ ნომრად არჩევა ვუსურვოთ.

ირაკლი ფირაყვილი

დრაფტის კოლორიტები, სტენფორდელი ტყუპები — ბრუკ და რობინ ლოპესები

პირველი რაუნდი

1	ჩიკაგო	დერიკ როუზი (მემფისი)	19	191
2	მაიამი	მაიკლ ბისლი (კანზასი)	19	206
3	მინესოტა	ოჯეი მაიო (USC)	20	196
4	სიეტლი	რასელ ვესტბრუკი (UCLA)	19	191
5	მემფისი	კევინ ლავი (UCLA)	19	206
6	ნიუ იორკი	დალინო გალინარი (მილანი, იტალია)	19	206
7	კლიპერსი	ერიკ გორდონი (ინდიანა)	19	191
8	მილუოკი	ჯო ალექსანდერი (დასავლეთ ვირჯინია)	21	203
9	შარლოტი	დი ჯეი ოგუსტინი (ტეხასი)	20	181
10	ნიუ ჯერსი	ბრუკ ლოპესი (სტენფორდი)	20	213
11	ინდიანა	ჯერიდ ბეილისი (არიზონა)	19	191
12	საკრამენტო	ჯეისონ ტომპსონი (რაიდერი)	21	211
13	პორტლენდი	ბრენდონ რაში (კანზასი)	22	201
14	გ. სტეიტი	ენტონი რენდოლფი (LSU)	18	211
15	ფინიქსი	რობინ ლოპესი (სტენფორდი)	20	213
16	ფილადელფია	მარის სპიტსი (ფლორიდა)	20	208
17	ინდიანა	როი ჰიბერტი (ჯორჯთაუნი)	21	218
18	ვაშინგტონი	ჯავალ მაკგი (ნევადა)	20	213
19	კლივლენდი	ჯეი ჯეი ჰიკსონი (ჩრდ. კაროლინა)	19	206
20	შარლოტი	ალექსის აჯინგა (ტულონი, საფრანგეთი)	20	216
21	ნიუ ჯერსი	რაიან ანდერსონი (კალიფორნია)	20	208
22	ორლანდო	კორტნი ლი (დასავლეთ კენტუკი)	22	196
23	იუტა	კოსტა კოფოსი (ოჰაიო)	19	216
24	სიეტლი	სერხ იბაკა (ჰოსპიტალეტი, ესპანეთი)	18	208
25	ჰიუსტონი	ნიკოლას ბატუმი (ლე მანი, საფრანგეთი)	19	203
26	სან ანტონიო	ჯორჯ ჰილი (IUPUI)	22	188
27	პორტლენდი	დარელ არტური (კანზასი)	20	206
28	მემფისი	დონტე გრინი (სირაკუზი)	20	208
29	დეტროიტი	დი ჯეი უაიტი (ინდიანა)	21	206
30	ბოსტონი	ჯეიარ გიდენსი (ნიუ მექსიკო)	23	196

მეორე რაუნდში არჩეული ევროპელები

31	მინესოტა	ნიკოლა პეკოვიჩი (პარტიზანი, სერბეთი)	22	211
36	პორტლენდი	ომერ აშიქი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)	21	211
44	იუტა	ანტე ტომიჩი (ზაგრები, ხორვატია)	21	218
45	სან ანტონიო	გორან დრაგიჩი (ოლიმპია, სლოვენია)	22	193
53	იუტა	ტადია დრაგიევიჩი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი)	22	206
60	ბოსტონი	სემიჰ ერდენი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)	21	216

ნიუ ჯერსიმ ჩინური ვაზი ჩაყარა



იი ძიანლიანი

დრაფტის საღამოს ნბა-ში კიდევ ერთი გაცვლა შედგა, ოღონდ მასში მხოლოდ ძველი ნბა-ელი მოთამაშეები იყვნენ ჩართულნი. „ნიუ ჯერსიმ" და „მილუოკიმ" დრაფტის მსვლელობისას ერთმანეთში მოილაპარაკეს და შედეგად სამმა კალათბურთელმა შეიცვალა კლუბი. „ნიუ ჯერსის" ისტორიაში მეორე ბომბარდირი რიჩარდ ჯეფერსონი „მილუოკიში" გადაბარგდა, სანაცვლოდ კი ამ გუნდმა ორი ახალგაზრდა ფორვარდი მიიღო — ბობი საიმონსი და ჩინელი იი ძიანლიანი. ამ უკანასკნელის გარშემო შარშანდელი დრაფტის მერე დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი, ძიანლიანს ახალ იაო მინადაც მოიხსენიებდნენ, მაგრამ ხმაური თანდათან ჩაცხრა, რაკი 211-სანტიმეტრიანმა ჩინელმა მხოლდ ერთ-ორ მატჩში გაიბრწყინა, თამაშების უმრავლესობა კი ნაცარში კოვზივით ჩაუვარდა.

ამ გაცვლით ალბათ „მილუოკი" უფრო იხეირებს. 28 წლის ჯეფერსონი უკვე ჩამოყალიბებული ვარსკვლავია და მაიკლ რედთან და მო უილიამსთან თუ კარგად ააწყო, „მილუოკი" სოლიდურ გუნდად უნდა იქცეს.

მეორეს მხრივ, წაგებული არც „ნიუ ჯერსი" უნდა დარჩეს. როგორც ჩანს, ეს გუნდი გრძელვადიან გეგმას მისდევს. გასული სეზონის შუაწელს ბებერი ჯეისონ კიდი „დალასს" დაუთმო ყმაწვილი დევინ ჰარისის სანაცვლოდ, ახლა აგერ, ძიანლიანი დაიგულა, ხოლო დრაფტზე რიგიანი ცენტრი ბრუკ ლოპესი იშოვა. ასე რომ, ვაზი ჩაყრილია და მოსავალი ორი-სამი წლის შემდეგ გამოჩნდება.

უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი - 6 ივლისი. საპრიზო 14 883 120 J

კაცები

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **მარკ ჟიკელი** (საფრანგეთი) 6:3 6:3 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (20, ავსტრალია) — **სიმონე ბოლელი** (იტალია) 6:1 6:3 7:6; **ფერნანდო ვერდასკო** (22, ესპანეთი) — **ტომაშ ბერდიხი** (11, ჩეხეთი) 6:4 6:4 6:0; **სტანისლას ვავრინკა** (13, შვეიცარია) — **მიშა ზვერევი** (გერმანია) 7:5 6:1 (უარი); **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) 6:4 6:4 6:7 7:6; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **ანდრეას სეპი** (29, იტალია) 7:6 3:6 7:6 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (10, კვიპროსი) — **სიმონ სტადლერი** (გერმანია) 7:6 6:4 6:2; **ფელიჩიანო ლოპესი** (31, ესპანეთი) — **ბობი რეინოლდსი** (აშშ) 6:4 7:5 4:6 6:4

ქალები

მესამე წრე

ჟი ჟენგი (ჩინეთი) — **ანა ივანოვიჩი** (1, სერბეთი) 6:1 6:4; **აგნეს სუავი** (15, უნგრეთი) — **ანაბელ მედინა-გარიგესი** (ესპანეთი) 7:6 2:6 6:2; **ნიკოლ ვაიდიჭოვა** (18, ჩეხეთი) — **კეისი დელაკუა** (კანადა) 6:2 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (8, რუსეთი) — **ევგენია როდინა** (რუსეთი) 6:4 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — **ბარბორა ზაჰლალოვა სტრიცოვა** (ჩეხეთი) 6:2 6:4; **აგნეშკა რადვანსკა** (14, პოლონეთი) — **ანასტასია პავლუჩენკოვა** (რუსეთი) 6:3 6:2; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — **მარიონ ბარტოლი** (11, საფრანგეთი) 6:4 6:1; **სერენა უილიამსი** (6, აშშ) — **ამელი მორესმო** (29, საფრანგეთი) 7:6 6:1

ანა ივანოვიჩი

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ წლევანდელი უიმბლდონი ისევ შავდა უილიამსების საჯიჯგნად იქცევა. მეორე დღეა ლონდონში გამოკვეთილ ფავორიტებს ამწარებენ, ვინუსი და სერენა კი მართალია, წვალებითა და ჯახირით, მაგრამ მაინც წინ მიიწევენ.

მარია შარაპოვას შემდეგ წლის მესამე სლემტურნირის ანა ივანოვიჩისთვისაც დასრულდა. „როლან გაროსის“ მოგებისა და მსოფლიოს პირველ ჩოგნად ქცევის შემდეგ სერბი ლამაზმანი ძალიან მალე დაებრუნეს მიწაზე და დაანახეს, რომ მიღწეულის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. პოზიციების შესანარჩუნებლად ანას გაათმაგებული შრომა მოუწევს.

გუშინ კი ივანოვიჩი ჟენგმა დაიფრინა, მაგრამ სერბს თავისუფლად შეუძლია ყველაფერი საკუთარ თავს დაუბრალოს. სხვათა შორის ბალკანელმაც იმაზე წაიტეხა ცხვირი, რაზეც ერთი დღით ადრე შარაპოვამ — ანამ ხმ რუსივით უარი თქვა წინასაუმბლდონო მზადებაზე და ამისთვის დაისაჯა კიდეც, რადგანაც გუშინ ვერაფრით დაიჭირა მატჩის რიტმი და ამის გამო აურაცხელი რაოდენობის შეცდომები დაუშვა. სერბი აქა-იქ ლამაზ კომბინაციებსაც ატარებდა, მაგრამ იქვე ორ-სამ უაზრო და ძალიან მარტივ შეცდომას უშვებდა. ასეთი შეფარდებით კი შეუძლებელია, წარმატების იმედი იქონიო და ივანოვიჩმაც წაგო.

სამაგიეროდ, მეოთხე წრეში გზა გაიკვალა უმცროსმა უილიამსმა, რომელმაც საკმაოდ დაძაბულ ჯაჭში ამელი მორესმო დაჩაგრა. ისე ფრანგმა ძალიან განსხვავებული ორი სეტი ჩაატარა — თავიდან კორტზე ორი წლის წინანადელი მორესმო იდგა, მეჩოგნე, რომელმაც ავსტრალიაში და აქ, უიმბლდონზე იჩემპიონა. შემდეგ კი ამელი თანდათან აიჭრა და დამარცხების ნიშნად თეთრი დროშაც გამოფინა.

პირველ სეტში ფრანგმა მართლაც ღისეულად იომა და სერენას გოჯიც არ დაუთმო. ჩოგბურთელებმა ბრეიკებიც გაცვალეს, მაგრამ უპირატესობა ვერც ერთმა მოიპოვა და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. თამაში აქაც ქულა-ქულაში გაგრძელდა, მაგრამ უმცროსმა უილიამსმა მაინც იყოჩაღა და სეტი სათავისოდ დაასრულა. მატჩიც აქ მორჩა, რადგანაც ამის შემდეგ მორესმოს კორტზე ღირებული აღარაფერი გაუკეთებია.



სერენას შემდეგი მეტოქე კი მისი თანამემამულე ბეტანი მატეკი იქნება, რომელმაც ასევე ფრანგს, თან შარშანდელ ფინალისტ მარიონ ბარტოლის გამოუყვანა წირვა.

მეოთხე წრეში ასევე გაიკვალეს გზა რუსებმა — სვეტლანა კუზნეცოვამა და ანა ჩაკვეტაძემ. პირველმა კლასის ხარჯზე ადვილად დაჯაბნა ბარბორა ზაჰლალოვა. ჩაკვეტაძე კი ლონდონში საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება და მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, უიმბლდონზე მაინც ხეირიანად ჩოგნაობს. ანა გუშინ თანამემამულე ევგენია როდინას გაუმკლავდა.

როგორც იქნა, ვიხილეთ ძველებური აღმაფრენითა და ჩვეული ლაზათით მოთამაშე როჯერ ფედერერი. ალპელისგან ასეთი თამაში წლეულს ნაღდად არ გვინახავს, მაგრამ თავისი საყვარელი ტურნირისთვის „მხიარული როჯერი“ აშკარად ფორმის პიკზე გავიდა. მარკ ჟიკელთან შეხვედრაში ალპელის ჩოგნაობაში ისევ გამოჩნდა ის სინატიფე და სიმსუბუქე, რომლითაც ფედერერი წლების განმავლობაში აჯადოებდა მაყურებელს და ანადგურებდა მეტოქეებს. შვეიცარიელმა მორიგი შოუ ჩაატარა და საბრალო ჟიკელი საათსა და 21 წუთში მიჩოგნა. ისე შეიძლება ალპელის ასეთი სისწრაფე იმითაც იყო გამოწვეული, რომ ლონდონში ამ კვირაში პირველად გაწვიმდა და ჩოგბურთელებს ორიოდ საათით გადაადებინა კორტზე გასვლა — ეტყობა, როჯერსაც ამიტომ უნდოდა საქმის დროულად მოთავება, რომ ლონდონის ამინდის კაპრიზებს მისთვის კიდევ არ შეეშალათ ხელი.

„არცთუ სასიამოვნო პირობებში ვთამაშობდით — ქარი ქროდა და ბალახიც ნესტიანი იყო. ამის გათვალისწინებით არცთუ ურიგოდ ვითამაშე, თუმც მომდევნო წრეში გაცილებით რთული მატჩი მელის“ — ნამატჩევს შექებას ასეთი პასუხი გასცა ფედერერმა.

ისე ალპელი თავის მომდევნო მეტოქეზე საუბრისას არ ტყუოდა და არც თავმდაბლობას იჩენდა, რადგანაც როჯერს ლეიტონ ჰიუიტთან მოელის დაჯახება. ეს ავსტრალიელი კი კარგა ხანი ასე რიგიან ფორმაში არ ყოფილა — მართალია, პირველ წრეში გაუჭირდა, მაგრამ იქიდან მოყოლებული აშკარად მოუმატა და სულო უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება.

გუშინაც ოზი ადვილად გაუმკლავდა სიმონე ბოლელის. იტალიელმა მხოლოდ მესამე სეტში შეძლო ტოლ-სწორად ბრძოლა, მაგრამ აქაც ტაიბრეიკზე დამარცხდა და ჩემოდნების ჩასალაგებლადაც წავიდა.

ჰიუიტი კი ფედერერს შეიძლება ყელშიც გაეჩხიროს — ავსტრალიელს ახლა ხმ როჯერის ყოფილი მწვრთნელი ტონი როში ჰყავს დამრიგებლად და მისგან ლეიტონი სხვებზე უკეთ უნდა იყოს გარკვეული შვეიცარიელის ძლიერ თუ სუსტ მხარეებში.

ძახა ლომაშვილი

ჭადრაკი

დორტმუნდის სუპერტურნირი. 28 ივნისი-6 ივლისი

დორტმუნდში 36-ე დაიწყო

დორტმუნდში რიგით ოცდამეთექვსმეტე სუპერტურნირი დაიწყო, სადაც ტრადიციულად რვა დიდოსტატი ითამაშებს. წლევანდელი გათამაშება მსოფლიოს ჩემპიონ ვიშვანათან ანანდისა და ნორვეგიელ ვუნდერკინდ მაგნუს კარლსენის გარეშე ჩაივლის, შესაბამისად კატეგორიაც ნაკლები, მე-18 ექნება.

აი მოთამაშეთა სიაც: რუსები ვლადიმირ კრამნიკი და ივან ნეპომნიაშჩი, გერმანელები არკადი ნაიდიჩი და იან გუსტაფსონი, აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი, უნგრელი პეტერ ლეკო, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი და ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი.

ტურნირის ფავორიტი თავისთავად 32 წლის კრამნიკი გახლავთ, ვისაც შეჯიბრი რვაჯერ აქვს მოგებული და ფიდეს რეიტინგშიც მეორე ადგილზეა. მას ოქტომბერში ანანდთან მატჩ-რევანში ელის და აქ თამაშის დახვეწას შეეცდება. რეიტინგით მეორე მამედიაროვია. იგი 22 წლისაა და ფიდეს სიაში მეშვიდეა.

ლეკოს ტურნირი ორჯერ აქვს მოგებული და სტაბილურ მოჭადრაკედ ითვლება, თანაც მას კრამნიკთან ძველი ანგარიშები დარჩა და ახლა ეცდება მათ გასწორებას.

ვასილ ივანჩუკმა გათამაშება შარშანწინ მოიგო, ახლა კი ცოტა დასუსტდა და ძველებურად ველარ ყოჩაღობს.

17 წლის ნეპომნიაშჩი დორტმუნდში პირველად ჩადის. სუპეტურნირის საგზური მან თებერვალში მოსკოვში „აეროფლოტ ოუფენის“ მოგებით მოიპოვა.

გერმანელ დიდოსტატებს ტურნირზე ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვთ. 22 წლის ნაიდიჩმა გათამაშება სამი წლის წინ კი მოიგო, თუმც მას შემდეგ ღირსსახსოვარი საერთოდ არაფერი გაუკეთებია და მის გამობრწყინებას მაყურებლები არც ამჯერად ელიან. 28 წლის გუსტაფსონი კი პირველადაა ამხელა სუპერტურნირზე და ფიდეს რეიტინგშიც საერთოდ ასეულს მიღმა დგას.

ლუკ ვან ველს დორტმუნდში 2005 წლის მერე არ უთამაშია, თუმც რეიტინგი მასაც დაბალი აქვს და ალბათ უფრო სტატისტის რანგში იქნება.

ტურნირი დიდ სახალხო თეატრში გაიმართება, თამაშები კი პირდაპირი ეთერით დიდ ეკრანზე გადაიცემა და კომენტარს ცნობილი დიდოსტატები გაუკეთებენ.

ლაშა გეგეჭკორი

კომპიუტერული თამაშები

ვითამაშოთ კომპიუტერში

23 მაისიდან 15 ივნისამდე თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი კომპიუტერულ სპორტში. შეჯიბრება ჩატარდა სამ სახეობაში — გუნდურ „ქაუნთერ სტრაიკში“, „იქსბოქსსა“ და „ფიფა 2008-ში“. გამოვლინდა საქართველოს ჩემპიონატის 8 საუკეთესო გუნდი, რომელნიც ეროვნული პირველობის ფინალურ სტადიაზე ეთამაშებიან ერთმანეთს. რვა საუკეთესოდან 3 თბილისის, 2 ქუთაისის, 2 რუსთავისა და 1 ბათუმის გუნდია.

ფინალური თამაშები 15, 16 და 17 აგვისტოს ბათუმში გაიმართება, სადაც 40 მონაწილიდან 21 „გეიმერი“ საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს. პრიზიორებიდან შეირჩევა 7 საუკეთესო მოთამაშე და ისინი 18-22 ოქტომბერს გერმანიაში გაემგზავრებიან კომპიუტერულ მსოფლიო ოლიმპიადაზე.

გერმანულ ტურნირზე 80-მდე ქვეყნის 800-ზე მეტი „გეიმერი“ გამოვა. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაზე თამაშები 12 სახეობაში გაიმართება. „ვორდ კიბერ გეიმის“ საპრიზო ფონდი კი 1 000 000 დოლარს შეადგენს. საქართველოს ნაკრები მსოფლიო ოლიმპიადაზე 2004 წლიდან მონაწილეობს. ჩვენების საუკეთესო შედეგი მე-7 გუნდური ადგილია.

ზურაბ მიგრიაული

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესლია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge